# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 აპრილი 2003 №69 (1840) | ფასი 50 თეთრი


# ფედერაციამ ხალხი ერთი-ორ ჭიქა ღვინოზე დაპატიჟა

## ბილეთების მიმღები პუნქტი ლოკომოტივზე 1 მაისიდან გაიხსნება





ბაჩო ქორიძის ფოტო

თუ ფული შემოგელიათ, სახლში კი საქართველო — რუსეთის 12 ოქტომბრის მატჩის ბილეთი ყოველი შემთხვევისთვის შენახული გაქვთ, გაგიხარიათ: პირველ მაისს „ლოკომოტივის“ სტადიონის სალაროსთან მიხვალთ, ბილეთს დააბრუნებთ, ფულს აიღებთ და მერე როგორც გინდათ, დახარჯეთ, თუ გნებავთ, მშრომელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ორიოდე ჭიქა გადაჰკარით. ბილეთების დაბრუნების ამბავი გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ, მართალია, უხალისოდ, მაგრამ მაინც გადაწყვიტა.

და თუ ბილეთში აღებული ფულით ღვინის მაღაზიაში შეხვედით და შენიშნეთ, რომ ვიღაც რუსი ჩანთაში ბოთლებს ილაგებს, კარგად დააკვირდით, ეგებ რუსეთის ნაკრების კაპიტანი ეგორ ტიტოვი აღმოჩნდეს.

ტრავმის გამო ექვსი თვით უფეხბურთოდ დარჩენილ და ახლახან მოჯობინებულ სპარტაკელს ვალერი გაზაევმა სათბილისოდ უხმო. ტიტოვმა კი, თუ მოვიგებთ, უთუოდ ვიყიდი ქართულ ღვინოს და მოსკოვში წავიღებო.

ამასობაში კი იწურება ვადა, რომელშიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რუსეთთან მატჩის უმაყურებლოდ ჩატარების თაობაზე უეფასეული გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია, მაგრამ მეტისმეტად ოპტიმისტ ქომაგს იმედის ნაპერწკალი ნუ გაუჩნდება. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ უეფა ძალიან ძნელად თუ შეცვლის თავისსავე განაჩენს, ქართული ფედერაცია არც აპირებს გასაჩივრების უფლების გამოყენებას. რატომ? მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს. ფედერაციაში შეეძლოთ ეთქვათ, რომ აპელაციას აზრი არ აქვს, მაინც არაფერი გამოვა და ცდად არ ღირს, მით უფრო, რომ აპელაციის შეტანა გვარიანი ფული ღირსო. ასე რომ ეთქვათ, კი გავიფიქრებდით, ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ საბოლოო ჯამში ლოგიკას მაინც ვუპოვნიდით. მაგრამ არგუმენტი, რომელიც ფედერაციაში თქვეს, იმდენად აბსურდულია, ლოგიკის ძებნა არც ღირს. გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ განაცხადა — რომ გავაპროტესტოთ, ვინძლო, უფრო მკაცრად დაგვსაჯონო.

ამგვარი არგუმენტი ქომაგისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. რასაც ჩოლარია ამბობს, არასდროს მომხდარა, თუნდაც იმიტომ, რომ აპელაცია სწორედ სასჯელის შემსუბუქებისთვის არის მოგონილი და არა პირიქით. ჰოდა, რაკი ფედერაციისგან თავისი უმოქმედობის გასამართლებლად ამგვარი უსუსური არგუმენტი გვესმის, რა უნდა ვიფიქროთ?

# აკაკი ჩხაიძე 20 ათასი კაცის მაგივრად ფიქრობს

## მემანქანე ცაკარიასი დაიღალა

რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე თავის „აბრეშუმის გზას“ დაადგა, რომელმაც სამეგრელოში ჩაიყვანა და გუშინ იქაურებს უმტკიცებდა, ედუარდ შევარდნაძეს თუ არ გავყევით, დავიღუპებითო. თუმცა ჩხაიძის პოლიტიკური პლატფორმა ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, ქომაგისთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, მთავარი რკინიგზელი „ლოკომოტივს“ ეროვნული ჩემპიონატის ლიანდაგზე დატოვებს თუ დეპოში შეაგორებს. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ჩხაიძე ფეხბურთის ფედერაციას ჩემპიონატის მიტოვებით დაემუქრა, აქაოდა, ცალკე თქვენ გვჩაგრავთ, ცალკე კიდევ მსაჯებიო. თან ჩხაიძემ, მუქარისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, 20 ათასი რკინიგზელი დაიმოწმა, ისინიც ჩემებრ ფიქრობენო. თუმცა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ შეკრებილი 20 ათასი რკინიგზელი არავის უნახავს.

ჰოდა, იმას მოვახსენებდით, რომ ჩხაიძემ ფედერაციას მუქარა კი შეუთვალა, მაგრამ რაკი თავად პრეზიდენტის ერთგულების ნიშნად სამეგრელოში ბრძანდებოდა, ფედერაციასაც რაღა დარჩენოდა, გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თქვა, ჩხაიძის წერილი წავიკითხე და მასთან სალაპარაკოდაც მზად ვარო. ჯერჯერობით საქმე ამის იქით არ წასულა.

თუმცა „ლოკომოტივი“ ვარჯიშს მაინც განაგრძობს და დღევანდელი სათასო შეხვედრისთვის ემზადება. ვარჯიშებს კი, ნუ გაიკვირვებთ და, ლუის ცაკარიასი ატარებს — სწორედ ის ცაკარიასი, რომელზეც კლუბის პრესატაშე ნუგზარ ჯულელმა გუშინწინ თქვა, საავადმყოფოში წევს ინფარქტითო.

სინამდვილეში პერუელ მწვრთნელს ექიმებმა გადაღლილობისა და წნევის აწევის გარდა ვერაფერი აღმოუჩინეს და უბრალოდ დასვენება ურჩიეს, რასაც საქმის ერთგული ცაკარიასი არ დათანხმებულა.


ბაჩო ქორიძის ფოტო

ლუის ცაკარიასი


აკაკი ჩხაიძე

# რკინიგზის ბოიკოტი პოლიტიკამ შეაფერხა

## ცაკარიასს საწოლში გული არ დაუდგა

*„ლოკომოტივის" პერუელი თავკაცის ინფარქტი იმდენად მოულოდნელი ამბავი არ ყოფილა, რამდენადაც რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის და, როგორც ამბობენ, 20 ათასი რკინიგზელის გადაწყვეტილება. გუშინწინ, ვიცე-ჩემპიონები დიდიან-პატარიანად ბოიკოტით დაიმუქრნენ*



ლუის ცაკარიასმა „ლოკომოტივის" გუშინდელ ვარჯიშს მხოლოდ უყურა

**ეროვნული ჩემპიონატის** მიტოვებით ადრე სხვებიც იმუქრებოდნენ (დინამო, სამტრედია), მაგრამ ცხელ გულზე ნათქვამს გადაუვლია და იმათაც თამაში გაუგრძელებიათ. მართალია, „ლოკომოტივი" ნათქვამზე ჯერაც მყარად დგას, მაგრამ ისე არასდროს გაწვიმებულა, როგორც დაიქუხებს-ხოლმე.

რკინიგზელებს ვარჯიში არ შეუწყვეტიათ, ცაკარიასის გუნდი ხვალინდელი სათასო მატჩისთვის ემზადება. ფეხბურთელებს კი გამოუცხადეს, ალბათ არ ითამაშებთო, თუმც ლოკომოტიველები ყოველივეს გაცეცხლებულ გულზე ნათქვამს მიაწერენ.

ყველაფერი დღეს დილით გაირკვევა, როცა რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცი აკაკი ჩხაიძე დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდება. ახალდაფუძნებული პოლიტიკური მოძრაობა „აბრეშუმის გზის" თავყრილობა სამეგრელოში იმყოფებოდა და ჩხაიძესაც ფეხბურთისთვის არ ეცალა.

„ლოკომოტივს" თავისი ხელმძღვანელებიანად დროებით თავი დავანებოთ და გავეცნოთ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან *ვალერი ჩოლარიას* კომენტარს, რომელსაც გუშინ სალაშოს ტელეფონით ვესაუბრეთ.

— წავიკითხე „ლოკომოტივის" წერილი და ხვალ ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად მოვითათბირებთ, „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასაც შევხვდებით და გადაწყვეტილებას მერედა მივიღებთ.

**— შესაძლოა, რკინიგზელებმა თასზე ითამაშონ, მაგრამ ჩემპიონატის მატჩზე არ გამოცხადნენ. როგორი იქნება ფედერაციის ვერდიქტი?**

— ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ. საშაბათო სათასო მატჩი ერთი კონკრეტული თამაშია. მას თავისი მსაჯ-დელეგატი მოემსახურება. იქ ვიქნებით ჩვენც, ფედერაციის ხელმძღვანელები და თქვენც ჟურნალისტები. თუ ითამაშა „ლოკომოტივმა" სათქმელიც არაფერი იქნება.

მომდევნო კვირაში ჩემპიონატის მორიგი ტურია, სადაც სხვა მსაჯ-დელეგატები დაინიშნებიან. მოვლენების განვითარებას დაველოდოთ, ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ფედერაცია კი მუდამ მზად არის დიალოგისთვის.

ვიდრე „ლოკომოტივის" და ფედერაციის თავკაცები კლუბის ყოფნა-არყოფნაზე ილაპარაკებენ, მანამ ლუის ცაკარიასი და მისი ჯანმრთელობის ამბავიც მოვიკითხოთ. პირდაპირ ვთქვათ, პერუელის ინფარქტი მოგონილი და გაზვიადებული ამბავი აღმოჩნდა. ცაკარიასი გუშინ „ლოკომოტივზე" თავისი გუნდის წვრთნას არ დაჰკლებია და აქტიურად არა, მაგრამ ვარჯიშში მაინც მონაწილეობდა.

ცაკარიასს ვერც იმას დავწამებთ, ტყუილი მოიგონა და „ლოკომოტივის" პრესსამსახურის მეშვეობით ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანაო.

გუშინწინ დილით საწოლიდან წამომდგარი პერუელი მწვრთნელი მართლაც შეუძლოდ გამხდარა და იატაკზე ჩაკეცილა. ცაკარიასს სასწრაფო დახმარების მანქანა მიუყვანეს, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და საავადმყოფოში გადაყვანა დაუპირეს, მაგრამ პერუელი ექიმებს არაფრით არ დათანხმებია.

მწვრთნელის ავადმყოფობა მაღალ წნევასა და გადაღლილობას მიაწერეს. ასეთი იყო ექიმთა გამოკვლევის შედეგად გამოტანილი დიაგნოზი. ცაკარიასი გუშინ საავადმყოფოში მაინც წაიყვანეს და წოლითი რეჟიმიც გამოუწერეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბატონი ლუისი ძალიან ურჩი პაციენტი აღმოჩნდა, ვისაც საწოლში წოლას ვარჯიშზე ყოფნა ურჩევნია. ისე, კიდევ კარგი, ცაკარიასს ინფარქტი არ აღმოაჩნდა, თორემ მკურნალობის ხარჯებს ნამდვილად ამასწინდელი „დინამო" — „ლოკომოტივის" განმსჯელ ლევან ფანიაშვილს დააწერდნენ. აკი ამბობდა ნამატჩევს პერუელი მწვრთნელი, მსაჯმა ჩემი გუნდი ხომ მოშალა, მეც წყობიდან გამომიყვანაო.

**მამუკა ძგანტალიანი**

### დანია

**სუპერლიგა. XXIII ტური**

ბრონდბიუ 2:1 კიოგე
ოდენსე 2:2 ფარუმი
სილკებორგი 3:0 კოპენჰაგენი
ვიბორგი 0:0 მიდტიულანდი
აკადემისკი 1:4 ესბიერგი

### შვეიცარია

**A ჯგუფი**
**VII ტური**

სერვეტი 3:1 თუნი

**B ჯგუფი**
**VII ტური**

ვინტერთური 0:0 ბელინცონა
ივერდონი 2:1 კონკორდია

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**XXIX ტური**

ზანკტ პაული 1:1 ფიურტი
ლიუბეკი 4:1 ალენი
ვალდჰოფი 0:2 კარლსრუე

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXVII ტური**

ვერდერი (მ) 0:0 პადერბორნი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XXX ტური**

ვეჰენი 2:0 ბაიერნი (მ)

### ჩეხეთი

**თასის 1/4 ფინალი**

ჟიჟკოვი 2:4 იაბლონეცი

**კალათბურთი**

## ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 17 აპრილი**

**F ჯგუფი**

ტაუ 79:93 მაკაბი
ბენეტონი 98:76 კინდერი

**G ჯგუფი**

ვილერბანი 89:79 ოლიმპიაკოსი
ბარსელონა 79:75 ოლიმპია

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# ფედერაცია გადაიხდის

## უფეხბურთოდ დარჩენილ ქომაგს ფულს ჰპირდებიან

**30 აპრილის** საქართველო — რუსეთი ქართველი ქომაგისთვის მხოლოდ ტელევიზორში იქნება! ასე ბრძანა უეფამ და რახან ჩვენებური ფედერაცია გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს, ხალხი თავის წილს მოითხოვს.

ბოლო ორი დღეა, ქომაგები რედაქციაში გვირეკავენ. მათ აინტერესებთ, როდის დაუბრუნებს ფეხბურთის ფედერაცია 12 ოქტომბრის ჩაშლილ-ჩაბნელებული მატჩის ბილეთის საფასურს.

ფედერაციას თავიდანვე ორი ვარიანტი ჰქონდა — ჩვენ ან ბილეთის საფასურს ავუნაზღაურებთ გულშემატკივრებს, ანაც ალბანეთთან საშინაო მატჩის ბილეთებში გადავუცვლითო.

ალბანეთამდე კარგა გვარიანი დროა დარჩენილი, თანაც ინტრიგით და დაძაბულობით ის თამაში რუსებთან ქიშპს ვერაფრით შეედრება. ვისაც საქართველო — რუსეთის ცოცხლად ხილვა სურდა, გამორიცხული არ არის, საქართველო — ალბანეთის ნახვა აღარ მოისურვოს, თანაც ადვილად შესაძლებელია, იმ თამაშმა ნაკრებისთვის და ქომაგისთვის ყველანაირი მნიშვნელობა დაკარგოს.

ეტყობა, ფეხბურთის ფედერაციაც დაფიქრდა და გუშინ საბოლოო გადაწყვეტილება გვამცნო:

— რუსეთთან უმაყურებლო თამაშის შემდეგ, როცა ყველა სტუმარს გავისტუმრებთ, 1 ან 2 მაისს „ლოკომოტივზე" სპეციალურად ერთი სალარო გაიხსნება და ქომაგებს შეეძლებათ, 12 ოქტომბრის ბილეთები ჩააბარონ. მათ გადახდილი თანხა აუნაზღაურდებათ. ყველა უკანდაბრუნებული ბილეთი საგულდაგულოდ შემოწმდება, რათა სიყალბე თავიდან ავიცილოთ და ისედაც დაზარალებული ფედერაცია ფინანსურად კიდევ უფრო არ ვაზარალოთ.

ფედერაციისა და ქომაგების ამბავი საბოლოოდ კი გაირკვა, რასაც ვერ ვიტყვით ფედერაციისა და „ლოკომოტივის" სტადიონის ურთიერთობაზე. რკინიგზელები ხარჯის და მოგების განმკარგავნი თავადვე კი იყვნენ, მაგრამ, ცხადია, უმაყურებლო საქართველო — რუსეთი სტადიონს ხარჯის გარდა არაფერს მოუტანს.

ფედერაციას კიდევ ერთხელ მოუწევს რკინიგზელებთან შეხვედრა და მოლაპარაკება. არადა, ვიცით, რომ ეს შეხვედრა უკვე შედგა. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ და „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვამბერიძემ წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწიეს, თუმც ამ ფაქტს ჯერჯერობით ორივე მხარე უარყოფს.

**მამუკა ძგანტალიანი**



ტარიელ ღვაბერიძემ, მერაბ ჟორდანიამ და ვალერი ჩოლარიამ რა მოილაპარაკეს, ჯერ არ ამბობენ

# რწმენა და ცაიტნოტი

*ივო შუშაკის სანაკრებო ასისტენტები გუშინწინ დაამტკიცა ფედერაციის აღმასკომმა – ხორვატის ერთ-ერთი თანაშემწე იქნება თბილისის „დინამოს" სპორტული დირექტორი გივი ნოდია, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ კიდეც*

**— ამ ეტაპზე და ასეთ პატარა დროში რა შეუძლია შემატოს საქართველოს ეროვნულ გუნდს ივო შუშაკმა?**

— რწმენა. ამასთან დაკავშირებით ერთ მაგალითს მოვიყვან. ფეხბურთელის კარიერის ბოლო წლები მოსკოვის „ლოკომოტივში" გავატარე და მერე თბილისის „დინამოში" ნოდარ ახალკაცის თანაშემწედ მივედი. იმ პერიოდში ჩვენთან ცნობილი ჟურნალისტი იური როსტი იყო ჩამოსული და მისი ერთ-ერთი შეკითხვაც ასეთი იყო... ასე რომ, ახლა ჩვენი ნაკრებისთვის მთავარი ალბათ რწმენაა, ისევე როგორც მაშინ, როცა „დინამო" ახალკაცის ხელში ახალი წარმატებებისთვის იყო შემართული.

**— პირადად თქვენ რა გევალებათ ნაკრებში?**

— შუშაკის დახმარება საწვრთნელი პროცესის დროს. ასეთი ფუნქციები ნოდარ ახალკაცთან მუშაობის გარდა, კახა ასათიანის „დინამოს" მთავარმწვრთნელობის დროსაც მქონდა.

**— ჩვენს ლეგიონერებზე შუშაკს თქვენგან რჩევა არ უთხოვნია?**

— შუშაკი ნაკრების წინა ხელმძღვანელობას შეხვდა — ალექსანდრე ჩივაძესა მურთაზ ხურცილავასა და ოთარ გაბელიას — და მათგან შესაბამისი ინფორმაცია მიიღო. თანაც შუშაკი საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა ბოლო თამაშს დაესწრო და ნათელი წარმოდგენა აქვს ჩვენს ფეხბურთელებზე. ბატონი ივო იმ აზრისაა, რომ დღესდღეობით რადიკალური ცვლილებები მიზანშეუწონელია, თუმც ლეგიონერების კლუბებში გამოსვლას დიდი ინტერესით აკვირდება — მათზე ინფორმაციას აგროვებს.

**— შუშაკთან ერთად ნაკრების შედეგზე პასუხისმგებლობას თანაბრად გაიზიარებთ?**

— რა თქმა უნდა, მთავარ მწვრთნელთან ერთად შედეგზე მეც ვარ პასუხისმგებელი — ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია.

**— რატომ დათანხმდით ამ პოსტზე მუშაობას, რა იყო თქვენი მოტივაცია?**

— „დინამოში" სპორტულ დირექტორად ვმუშაობ და კლუბის ყველა გუნდს ვეხმარები, როცა ბატონმა ივომ თანამშრომლობა მთხოვა, მისი თხოვნა გასათვალისწინებელი გახლდათ.

**— შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული და გიორგი ნემსაძე — ეს ფეხბურთელები ნაკრების ვეტერანებად ითვლებიან და ზოგიერთი მათგანი არცთუ მაღალი დონის კლუბში თამაშობს — რა აზრის ხართ ამ ფეხბურთელებზე სანაკრებოდ?**

— შუშაკი თვლის, რომ ამ ფეხბურთელებს თავიანთი შესაძლებლობები ეროვნულ ნაკრებში არ ამოუწურავთ და მეც ამ აზრის გახლავართ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ფეხბურთელები წლების განმავლობაში ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყვნენ, რადგან ნაკრების ბირთვს წარმოადგენდნენ. ისე კი, მთავარი მწვრთნელი ერთპიროვნულად წყვეტს გუნდის შემადგენლობას და ამის შესახებ მე და ბატონ ივოს არც გვილაპარაკია. შუშაკი „დინამოშიც" მარტო ადგენს შემადგენლობას.

**— რა პრობლემა შეიძლება შეექმნას შუშაკს ნაკრებში?**

— ერთადერთი შესაძლო პრობლემა ცაიტნოტია — მოკლე დროში გუნდის მომზადება.

**— დინამოელი მცველების, გიორგი შაშიაშვილის, ალეკო ამისულაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის ნაკრების ბოლო მატჩებში თამაშზე რას გვეტყვით?**

— ვფიქრობ, მთლიანობაში მათ რიგიანად ითამაშეს, უშეცდომო გუნდი და ფეხბურთელები კი არ არსებობენ. თანაც დაცვაში თამაში მხოლოდ მცველების მონაწილეობით არ შეიძლება. თუ „დინამოს" მცველები ირლანდიასთან არადამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, ეს მთლიანად გუნდის თამაშიდან გამომდინარე მოხდა. რუსეთთან ვერდამთავრებულ მატჩში შაშიაშვილმა და ამისულაშვილმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, მაგრამ მაშინ მთლიანად გუნდმაც უფრო მობილურად ითამაშა, ვიდრე ირლანდიასთან. რაც შეეხება ხიზანეიშვილს, ის შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ თამაშობს — მისი საქმისადმი დამოკიდებულება საკმაოდ სერიოზულია და ეს მის თამაშზეც ისახება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ახალგაზრდა მცველებისთვის ნაკრებში კახა კალაძის გარეშე თამაში რთული გამოდგა. ფსიქოლოგიური ასპექტი რომ ძალიან მნიშვნელოვანია, დავით კვირკველიას მაგალითი მოვიშველიოთ — მისი ნაკრების ძირითადში გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი იყო და ეს რომ ყველას წინასწარ ცოდნოდა, კვირკველიას კარგი სანაკრებო დებიუტი ან ექნებოდა, ან არა.



**— წელიწადზე მეტია, რაც დამოუკიდებლად არ გაგიწვრთნიათ გუნდი. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტობა იმის იმპულსი ხომ არაა, რომ ისევ ჩაუდგეთ რომელიმე გუნდს სათავეში?**

— მე ახლა საკმაოდ კარგ პოზიციაზე ვარ — „დინამოს" სპორტული დირექტორი გახლავართ და შუშაკის თანაშემწე ნაკრებში, რაც სრულად მაკმაყოფილებს. ხოლო მომავალში რა მოხდება, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს.

**— რა კოზირი აქვს საქართველოს ნაკრებს რუსეთთან 30 აპრილის მატჩისთვის ცარიელი ტრიბუნების წინაშე?**

— ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში ერთობ არასასიამოვნოა. მატჩამდე სამი დღის განმავლობაში უნდა მოხერხდეს შემადგენლობის დადგენა, ტაქტიკური გეგმის შემუშავება და საჭირო ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა. ისე კი, რუსეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ მთლად სტაბილური გუნდი როდია — ალბანეთთან გასვლით მატჩში საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდა.

**დავით თავართქილაძე**

# რა არის დაშტერების მიზეზი?

*ინგლისის პირველი დივიზიონის გადადებულ მატჩში „დერბი ქაუნთიმ" გუშინწინ „მილუოლს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. „ცხვართაგან" გოლი გიორგი ქინქლაძემ გაიტანა – მან მეტოქის საჯარიმო მოედნის ხაზიდან დაბალი დარტყმით ბურთი ოსტატურად შეაცურა კარში – იუწყებიან ბრიტანული წყაროები და იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართველმა „დერბის" თითქმის ყველა მწვავე შეტევაში მიიღო მონაწილეობა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყოო*

— ბოლო სამი თამაშიდან ორი მოვიგეთ და ერთი წავაგეთ. „მილუოლთან" ჩვენი მეკარეების შეცდომების გამო გავუშვით გოლები — მეორე ტაიმში დაშვებული მეკარე შევცვალეთ — ორივემ თითო-თითო შეცდომა დაუშვა, თანაც ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

**— როგორც უნდა იყოს, „დერბის" დიდი პერსპექტივა არა აქვს — პრემიერლიგაში ვერ ბრუნდება. სხვა გუნდში შენს შესაძლო ტრანსფერზე ახალი არაფერია?**

— ჯერჯერობით ახალი არაფერი. სეზონის დამთავრებამდე ოთხი თამაშიღა დაგვრჩა და ვნახოთ, რა მოხდება „დერბიმ" კონტრაქტის გაგრძელებაზე კი ჩამომიგდო სიტყვა, მაგრამ უარი ვუთხარი — ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია, რადგან გაურკვეველია ის, ვინ იქნება „დერბის" მწვრთნელი — გუნდის ახლანდელი მენეჯერი ჯორჯ ბარლი პოსტზე დარჩება თუ არა, გადაწყვეტილი არც ესაა.

**— ჩვენი ნაკრების ირლანდიასთან მატჩზე რას იტყოდი?**

— ყველა ჩვენი ფეხბურთელი კლუბებში კარგად თამაშობს, მაგრამ ნაკრებში თერთმეტი კაცი დაშტერებული დგას ხოლმე...

**— ირლანდიის წინააღმდეგ შენს თამაშზე რა აზრის ხარ?**

— რა უნდა გითხრა, ყველამ ხომ ყველაფერი ნახეთ...

**— ირლანდიის მერე შვეიცარიასთან რატომ არ ითამაშე? ამის შესახებ ათასი მითქმა-მოთქმა იყო...**

— მე არ მითქვამს, თამაში მინდა თუ არ მინდა-მეთქი — ფეხი მტკიოდა და ეს მწვრთნელს მოვახსენე.

**— ჯანმრთელობის მხრივ ახლა ხომ აღარ გაქვს რაიმე პრობლემა?**

— არა, ახლა ყველაფერი რიგზეა.

**— ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა გუნდის გაფართოებულ სიაში შეგიყვანა. როგორ ფიქრობ, კარგ ფორმაში ხარ?**

— რა თქმა უნდა. ირლანდიასთან მატჩის მერე კლუბში სულ ვთამაშობ, ირლანდიამდე კი რამდენიმე თამაში გამოტოვებული მქონდა. რუსეთამდე კიდევ სამი მატჩის თამაშს მოვასწრებ და ვფიქრობ, სანაკრებოდ უკეთეს ფორმაშიც ვიქნები. ისე კი, ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, მთავარია, მინდორზე საქმე იყოს.

**— რუსეთს ცარიელი ტრიბუნებით ვხვდებით...**

— ეს ჩვენთვის ყველაზე უარესი გადაწყვეტილება იყო. ამას ჯობდა, ნეიტრალურ მოედანზე გვეთამაშა.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ქინქლაძე

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას დადგენილების გასაჩივრება დღეს 24 საათამდე შეუძლია. ევროპული საფეხბურთო ოჯახის თავკაცმა მკაცრად დასაჯა სფფ — საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რუსეთთან ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში მიუსაჯა. ამ განაჩენის გასაჩივრების საშუალება ჩვენს ფედერაციას აქვს, მაგრამ გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ უეფას ვერდიქტისთანავე განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას არ გააპროტესტებდნენ. ეს რომ გავაკეთოთ, შესაძლოა, კიდევ უფრო მკაცრად დავისაჯოთო, თქვა მან*

# უეფამ დაახარისხა

## ფეხბურთელები, ჟურნალისტები, პოლიციელები და სტადიონელები

**გენერალური მდივნის** ეს ახსნა-განმარტება, მეტი რომ არ ვთქვათ, ქომაგისთვის თვალებში ნაცრის შეყრის ტოლფასია. არასდროს არ ყოფილა და ვეჭვობ, ჩოლარიამაც გაიხსენოს ისეთი შემთხვევა, როდესაც უეფას, თუნდაც ფიფას, აპელაციის შემდეგ უფრო მკაცრად დაესაჯოს გამსაჩივრებელი. აპელაცია სწორედ სასჯელის შემსუბუქების ერთ-ერთ საშუალებად არის მოგონილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სფფ-ის ჩინოსნის და ეროვნული ნაკრების ბედით დაინტერესებული პიროვნების ასეთ უსუსურ განცხადებას ორი მიზეზი აქვს, ორივე შემთხვევაში ფინანსური. ფედერაცია ან გასაჩივრებისთვის უეფაში შესატან არცთუ მცირე თანხის გადახდას ერიდება, ან მატჩის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარების წინააღმდეგი არ არის. ეგებ მეორე ვარიანტი მძიმე ბრალდებადაც ჩანდეს, მაგრამ ჩოლარიას ზემოთ ნახსენები განცხადება სხვა დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს.

მატჩი უგულშემატკივრებოდ ჩატარდება და ის ვიკითხოთ, რას ნიშნავს ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში.

გუშინ უეფამ დაადგინა ის რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც უნდა გაიმართოს საქართველო — რუსეთის შეხვედრა. 30 აპრილს „ლოკომოტივის" სტადიონზე მოხვედრა ოთხი კატეგორიის ჯგუფს არ ეკრძალება.

პირველ კატეგორიაშია მეტოქე გუნდები. რუსეთ — საქართველოს მხრიდან, მწვრთნელ-ფეხბურთელთა და ოფიციალურ პირთა ჩათვლით, ლიმიტი 150-ით განისაზღვრა, ანუ თითოეული მხარე თანაბრად, 75-75 პერსონით იქნება წარმოდგენილი.

მეორე კატეგორიაში ჟურნალისტები არიან. რაოდენობას თავად უეფა განსაზღვრავს. რეგლამენტის თანახმად, აკრედიტებულ ჟურნალისტთა მონაცემები უეფას შტაბბინაში გაიგზავნება არაუგვიანეს მატჩის დაწყებიდან 24 საათით ადრე. მატჩზე დასწრების საშუალება ექნებათ სამართალდამცავებს, იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან შეხვედრის უსაფრთხოებაზე.

უეფას მიერ განსაზღვრულ მეოთხე კატეგორიაში სტადიონის მომსახურე პერსონალი მოხვდა — ტექნიკოსები, ელექტრიკოსები, ინჟინრები, ანუ ისინი, ვინც ასევე პასუხისმგებლები არიან მატჩის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

დანარჩენებს... დანარჩენები ტელევიზორებთან საქართველოს ენერგეტიკის და ნაკრების იმედად...

**პაატა ძვანტალიანი**

*ივო შუშაკს და მალხაზ ასათიანს მაინც ეძლევათ თანამშრომლობის შანსი — საქართველოს ნაკრების სათავეში ახლადმისულმა ხორვატმა სპეციალისტმა სურვილი აისრულა და ან უკვე მოსკოვის „ლოკომოტივის" ნახევარმცველს თავის გუნდში უხმო. ამის შესახებ გუშინაც გაუწყეთ: საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ორ ამხანაგურ მატჩში ნათამაშებმა მალხაზ ასათიანმა 30 აპრილს რუსეთთან ჯახში შესაძლოა ოფიციალური სანაკრებო დებიუტი მოიწყოს. მანამდე ივო შუშაკს მისი თბილისის „დინამოში" ხილვა რომ უნდოდა, ძველი ამბავია*

# სიომინმა შუშაკი გამოიწვია

## ასათიანს ვლადიკავკაზში ელიან





**ამ თემას** მეტად არ შევეხებით და ახლა „ლოკომოტივში" ჩვენებურის ყოფაზე გეტყვით. რკინიგზულ კლუბში ამ ზამთარს ქუთაისის „ტორპედოდან" გადაბარგებულ ქართველ ფეხბურთელს დღემდე არ ღირსებია პრემიერლიგური დებიუტი. ის მხოლოდ სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში თამაშობს, ძირითადი გუნდის მატჩებს კი სათადარიგოთა სკამიდან უყურებს.

თუმც როგორც ჩანს, მალე ამასაც მოეღება ბოლო. აი, რა უთხრა გუშინ „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა რუს ჟურნალისტებს:

— მალხაზ ასათიანის გარჯით კმაყოფილი ვარ. ქართველი ფეხბურთელი დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში და არ არის გამორიცხული, ის უახლოეს ტურში ძირითად შემადგენლობაშიც ვათამაშო.

პირობა სიომინმა უკვე ნაწილობრივ აასრულა. ორიოდ დღის წინ ორმხრივ თამაშში ჩვენებური ძირითად შემადგენლობაში ლააყენა. ნამატჩევს რკინიგზული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

— რამდენიმე ფეხბურთელის თამაშით გაწბილებული ვარ. განსაკუთრებით იური მამინოვთან მაქვს სასაყვედურო. ალბათ, ყველამ კარგად დაინახეთ, რომ მის ნაცვლად ასათიანმა ღირსეულად ითამაშა. მოულოდნელია დმიტრი ლოსკოვის ასეთი ცუდი სათამაშო ფორმაც. ამიტომ გუნდში რალაცეების შეცვლა მომიწევს. გპირდებით, ზერელე დამოკიდებულებას და სიზარმაცეს არავის ვაპატიებ.

ასე რომ, რუსულ პრემიერლიგაში ოთხი ტურის შემდეგ ოდენ ოთხი ქულის დამგროვებელი „ლოკომოტივი" ცუდ დღეშია. დიდი შანსია, ამან მალხაზ ასათიანის წისქვილზე დაასხას წყალი. ჩვენც დაველოდოთ. მომავალ ტურში „ლოკომოტივი" ვლადიკავკაზში „სპარტაკ-ალანიას" ესტუმრება. ძირითად გუნდს ოსეთში ქართველი ნახევარმცველიც გაჰყვება.

**კახა შალამბერიძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# არ გავატანოთ ტიტოვს ქართული ღვინო!

### რუსეთი

**გუშინ** ვალერი გაზაევმა განაცხადა, რომ სათბილისო რუსთა ნაკრების შემადგენლობას 20 აპრილს დაასახელებს.

რუს მედიელთა მტკიცებით, ამ სიაში არ იქნება ტირანაში შერცხვენილი რამდენიმე ფეხბურთელი, ამათი ორი შემცვლელის ვინაობა გუშინვე გაცხადდა — გაზაევი თბილისში ეგორ ტიტოვს და სერგეი ალეინიჩევს ჩამოიყვანს. ალეინიჩევი ბოლო დროს „პორტუს" ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობს, სტაბილურადაც და გასაკვირი სულაც არაა, გაზაევს მისი სამსახური რომ დასჭირდა. პორტუგალიელი ლეგიონერის გამოძახების ფაქსი დღეს უნდა გაეგზავნათ რუსებს პორტუში.

ეგორ ტიტოვმა რუსთა ნაკრებში ბოლოს 14 ივნისს ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბელგიასთან წაგებულ მატჩში. იაპონიიდან დაბრუნებული ტიტოვი ნაკრების კაპიტნად აირჩიეს, მაგრამ მალე სპარტაკელი „ლოკომოტივთან" მატჩში დაშავდა და თითქმის ექვსი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. ტიტოვი რუსული პრემიერლიგის დაწყების წინ შეუერთდა გუნდს და ფაქტობრივად ერთადერთი ნათელი წერტილია დღესდღეობით ულიმღამო „სპარტაკში". დიდი შანსია, რომ გაზაევი ნაკრებში დაბრუნებულ სპარტაკელს წოდებასაც აღუდგენს და ტიტოვი კაპიტნის რანგში ჩამოვა თბილისში.

რუსთა ნაკრების ფაქტობრივად ერთადერთ სპარტაკელს რუსი მედიელები გუშინ საქართველო — რუსეთის მატჩზე დაეკითხნენ. ტიტოვს საერთორუსული პოლიტიკისგან არ გადაუხვევია, ქართველი გულშემატკივრები მეცოდება, უფეხბურთოდ რომ რჩებიანო. ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რასთან ასოცირდება საქართველო, სპარტაკელმა ასე უპასუხა — პირველი რიგში 80-იანი წლების თბილისის „დინამო" მახსენდება. გუცაევი, ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია და ჩელებაძე ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ. ფეხბურთის გარდა საქართველოს რომ წარმოვიდგენ, ხაჭაპურის გემოა დაუვიწყარი, შანსს არ გავუშვებ, რომ თბილისში ჩასულმა ქართულ სამზარეულოს არ გავუსინჯო გემო. ძალიან ვაფასებ ქართულ ღვინოს. თუ გავიმარჯვებთ, აუცილებლად ვიყიდი რამდენიმე ბოთლს, წავიღებ და სეზონის დასრულების შემდეგ გავსინჯავ.



ეგორ ტიტოვმა თბილისში ასე თუ გაიხარა, ქართულ ღვინოსაც დააგემოვნებს

ასეთი განწყობით ხვდება ტიტოვი საქართველოსთან მატჩს. რაც შეეხება რუსთა ნაკრებს, როგორც გაცნობეთ, გაზაევს 25 აპრილიდან სურდა გუნდის შეკრება კისლოვოდსკში ან სოჭში. რუსთა საბოლოო დისლოკაციის ადგილი ჯერაც გასარკვევია, მით უფრო, რომ საწვრთნელი შეკრების ერთ-ერთ ალაგად გუშინ ვლადიკავკაზიც დასახელდა. გაზაევი ამაზეც კონკრეტულ პასუხს 20 აპრილს იტყვის, თუმც რუს მედიელთა მტკიცებით, „ორთავა არწივი" თბილისამდე კისლოვოდსკში მოემზადება.

შეგახსენებთ, რუსები 29 აპრილის დილას ეწვევიან თბილისს ჩარტერული რეისით.

**ბაატა ძგანტალიანი**

# თბილისში და იტალიაში ფეხბურთს ერთნაირად თამაშობენ

## კორღალიძე ლატვიას დაგვპირდა

*ათი დღეც და საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები იტალიაში გაემგზავრება. შეგახსენებთ, იტალია ევროპის 2004 წლის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფს მასპინძლობს. ალბათ გახსოვთ, რომ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველებმა თბილისში უკრაინელი, ბელგიელი და ფარერელი თანატოლები მოიტოვეს და ახლა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძვიან.*

*ამაში ოთარ კორღალიძის გუნდს იტალია, ჩრდილოეთ ირლანდია და ლატვია ეცილებიან. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან მხოლოდ ერთი საუკეთესო გადის. ასე რომ, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის.*

*გუშინ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს შევეხმიანეთ და გუნდის სამზადისზე დავეკითხე.*



**— იტალიაში წასვლამდე ნაკრების კანდიდატები ორჯერ შეკრიბეთ, ამხანაგური მატჩებიც ითამაშეთ. კმაყოფილი ხართ?**

— ამ შეკრებებიდან სარგებელი ნაღდად მივიღეთ. გამოძახებული ახალწვეულებიდან თავი მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა დაგვამახსოვრა და მათ იტალიაშიც წავიყვან. გარდა ამისა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ხშირად ვესწრებოდი და ნაკრების კანდიდატებზე ინფორმაციებს ვაგროვებდი.

**— კერძოდ, რომელი სამი ფეხბურთელი მოგეწონათ?**

— ამის თქმას ჯერ არ ვაპირებ. ორ-სამ დღეში ნაკრების 18-კაციან შემადგენლობას გამოვაცხადებ და მერე ყველაფერს გაიგებთ.

**— ესე იგი, მონახაზი უკვე გაგიკეთებიათ. ახალ სახელებს აღარ უნდა ველოდოთ?**

— არა, გუნდი თითქმის დაკომპლექტებულია. ვფიქრობ, არაფერი შეიცვლება

**— ამ ეტაპზე ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ძალიან კარგ ფორმაშია „დინამო 2"-ის წევრი კუნჭულია. ჯერჯერობით მხოლოდ ამ ბიჭს გამოვარჩევ.

**— როდის დაიწყებთ მზადების ძირითად ეტაპს?**

— 20 აპრილს გუნდი შეიკრიბება. 29-მდე თბილისში ვივარჯიშებთ. 26-ში კი გორის „დილასთან" ან რუსთავის „გორდასთან" ვითამაშებთ. ოღონდ ეს გამოსაცდელი მატჩი არ იქნება. ვეცდებით, უფრო ფეხბურთელების შეთამაშებისთვის გამოვიყენოთ.

**— მერე იტალიაში წახვალთ...**

— 29-ში გავფრინდებით. ორი-სამი დღე იქვე ვივარჯიშებთ და მერე ოფიციალური მატჩებიც მოახლოვდება.

**— მეტოქეებზე თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— მხოლოდ ლატვიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრების შესაძლებლობები ვიცი. იტალია და ჩრდილოეთ ირლანდია, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი გუნდებია.

**— ლატვიას როგორი გუნდი ჰყავს?**

— მოვუგებთ. ამის გარანტიას ვიძლევი.

**— გასაგებია, რომ პირველი ადგილი საუკეთესო მიღწევა იქნება, მაგრამ ამის გარდა რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— მხოლოდ პირველი ადგილი.

**— და ეს შესაძლებელია?**

— აბა, წინასწარ რა გითხრათ. ჩვენი მიზანი მხოლოდ პირველი ადგილია. სხვა შედეგი წარუმატებელი იქნება.

**— გასაგებია, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ეს რეალურად შეუძლია?**

— თბილისში ჩატარებულ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზეც არ ეგონა ბევრს ჯგუფიდან თუ გავიდოდით, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. ახლაც იგივე ბარიერი გვაქვს გადასალახი.

**— სამაგიეროდ, ახლა უფრო ძლიერი მეტოქეები გყავთ...**

— მაშინაც ასე ამბობდნენ, უკრაინა ფავორიტიაო...

**— შინაური კედლებიც გვეხმარებოდა, იტალიაში კი მასპინძლებთან მოგიწევთ ბრძოლა.**

— ეს გადამწყვეტი ფაქტორი არაა. თბილისში, განსაკუთრებით პირველ მატჩში, ვერანაირად ვერ ვგრძნობდით, რომ შინ ვთამაშობდით. არც გულშემატკივართა მხარდაჭერა გვქონდა და არც მსაჯები გვეხმარებოდნენ. ასე რომ, ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

**კახა შალამბერიძე**



თბილისში ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა პირველობით გაიხარა



სოლ კემპბელი მსაჯის „ავმა ხუმრობამ" გააკვირვა





ასე გავიდა გოლები: რუუდ ვან ნისტელროოისა და რაიან გიგზის — ალალად, ტიერი ანრის (№14) კი ერთხელ უბრალოდ მოხვდა ბურთი, ხოლო მეორედ ორმეტრიან ოფსაიდში იყო





## ინგლისი

### პრემიერლიგა XXXV ტური

**არსენალი 2:2 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროოი (24), 1:1, 2:1 ანრი (51, 62), 2:2 გიგზი (63)

**არსენალი:** ს. ტეილორი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ვიეირა (ედუ 34), პირესი (კანუ 80), ანრი, ბერხკამპი (ვილტორდი 75)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**მანჩესტერი:** ბარტეზი, ოში (გ. ნევილი 46), რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, სოლსკიაერი, ბათი, როი კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: კინი, ბათი

გაძევება: კემპბელი (83)

მსაჯი: ბალსი

38 164 მაყურებელი

# პირველ შეცდომამდე ავი და უკბილო ხუმრობა

**„ჰაიბერიზე"** არ მოხდა სუფთა ინგლისური მკვლელობა, „არსენალმა" და „მანჩესტერმა" 2:2 დაამთავრეს შეხვედრა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგის ჩემპიონის საკითხი კვლავაც ღია და გამოუკვეთავია. „მანჩესტერი" სამი ქულით უსწრებს „არსენალს", რომელსაც თამაშით ნაკლები, შედარებით იოლი კალენდარი და ბურთების სხვაობაში ერთი გოლით წინ არის.

ამის მიუხედავად, თამაშის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონი ხარობდა, არსენ ვენგერი კი გამწარებული იყო. შემადგენლობები არ იყო საუკეთესო: ფერგიუსონს სკამზე ესვა ბექემი და გარი ნევილი, „მეთოფეებს" კი ავად გაუხდათ მეკარე სიმენი და კარში სტიუარტ ტეილორი ჩადგა, ხოლო ფეხშეხვეულმა პატრიკ ვიეირამ მხოლოდ 34 წუთს შეძლო თამაში. თამაში კი იყო დიდებული, დაძაბული და მაღალი კლასის. ჯერ „მანჩესტერი" იგებდა, მერე კი — „არსენალი". მსაჯობდა ლანკაშირელი მარკ ჰალსი, თუმცა, მასაც და მის ასისტენტებსაც ამ დაძაბულობაში შეცდომები მოუვიდათ.

„მეთოფეებს" ბურთი უფრო მეტხანს ეჭირათ, მანჩესტერელები კი მახვილგონიერებაში ჯობნენ და პირველ ტაიმში საგოლე შანსები ბევრად მეტი ჰქონდათ. ანგარიში რუუდ ვან ნისტელროოის ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ გაიხსნა და ჰოლანდიელის ამ გოლმა შესვენებამდე თითქოს ჩააწყნარა გუნდები, თუმცა ამ სიწყნარიდან მეორე ტაიმის დასაწყისში ეშლი კოულმა გოლი გამოადნო: საჯარიმოში შეჭრილმა კოულმა დაბალი დაურტყა ბარტეზს, თუმცა, ბურთი იქვე მოხვდა ტიერი ანრის, მიმართულება შეიცვალა და კარში შევარდა.

მეორე ტაიმში გუნდებს არ ამოუსუნთქიათ. 62-ე წუთზე ანრი მცველებს მოწყდა და „არსენალი" წინ გაიყვანა. საერთო შეფასებით, ანრიმ თამაშგარეში მიიღო ბურთი, თუმცა, მსაჯებმა გოლი ჩათვალეს. ამ გოლიდან წუთიც არ იყო გასული, რომ რაიან გიგზმა მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო და თავით ჩასვა კარში. ნამდვილი საგოლე მომენტი ამის შემდეგ ერთადერთი იყო — 90-ე წუთზე, როცა ბარტეზმა პირისპირ გასულ ანრის აუღო. მანამდე კი, მსაჯმა მოედნიდან გააძევა სოლ კემპბელი, რომელმაც იდაყვი მისცხო სახეში ოლე გუნარ სოლსკიაერს. წითელმა ბარათმა „მეთოფეები" ალაშფოთა, ვენგერი ძლივს დასვეს სკამზე. თამაშის შემდეგ კი ვენგერმა „ავი ხუმრობა" უწოდა ამ გაძევებას. კემპბელმა სეზონში მეორე წითელი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ლიგის სამ თამაშს და ასოციაციის თასის ფინალს გამოტოვებს.

„ძალიან დაძაბული ბოლო იქნება" — თქვა ფერგიუსონმა — „არსენალმა" მეტი გოლი გაიტანა, ამ საქმეს რამე უნდა მოვუხერხოთ. ჯერ არაფერია გარკვეული".

ასე რომ, ტიტულისთვის ბრძოლა პირველ შეცდომამდე გრძელდება. თუმცა, შეიძლება ორივე შეცდეს.

**ირაკლი ბაგურელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 21 | 8 | 5 | 63:31 | 71 |
| არსენალი | 33 | 20 | 8 | 5 | 69:36 | 68 |
| ნიუკასლი | 33 | 19 | 4 | 10 | 57:43 | 61 |
| ჩელსი | 33 | 17 | 9 | 7 | 60:32 | 60 |
| ევერტონი | 33 | 16 | 8 | 9 | 43:38 | 56 |
| ლივერპული | 33 | 15 | 10 | 8 | 49:35 | 55 |
| ბლექბერნი | 33 | 14 | 10 | 9 | 43:37 | 52 |
| ტოტენჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 47:47 | 47 |
| მიდლსბრო | 33 | 12 | 10 | 11 | 42:35 | 46 |
| ჩარლტონი | 33 | 13 | 7 | 13 | 41:46 | 46 |
| საუთჰემპტონი | 32 | 11 | 12 | 9 | 35:33 | 45 |
| სიტი | 33 | 12 | 6 | 15 | 40:51 | 42 |
| ლიდსი | 33 | 11 | 5 | 17 | 46:48 | 38 |
| ასტონ ვილა | 33 | 10 | 8 | 15 | 36:40 | 38 |
| ფულემი | 33 | 10 | 8 | 15 | 35:46 | 38 |
| ბირმინგემი | 33 | 10 | 8 | 15 | 31:43 | 38 |
| ბოლტონი | 33 | 8 | 11 | 14 | 35:48 | 35 |
| ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 37:56 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 5 | 6 | 22 | 22:52 | 21 |
| სანდერლენდი | 33 | 4 | 7 | 22 | 20:54 | 19 |

### პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი

**დერბი ქაუნთი 1:2 მილუოლი**

0:1 ჰარისი (6), 1:1 ძინძლაძე (8), 1:2 მაკამონი (63)

**დერბი ქაუნთი:** ოუქსი (გრანტი 46), უ. ბარტონი (მილსი 50), მური, რიჩი, ჯექსონი, ბოლდერი, ბარლი, ბოერტიენი, ვალაკარი, ძინძლაძე, რავანელი

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

21 014 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 42 | 26 | 11 | 5 | 86:40 | 89 |
| ლესტერი | 42 | 25 | 12 | 5 | 68:36 | 87 |
| შეფილდი | 41 | 21 | 10 | 10 | 64:44 | 73 |
| რედინგი | 41 | 22 | 4 | 15 | 55:41 | 70 |
| ნოტინგემი | 42 | 19 | 12 | 11 | 75:44 | 69 |
| ვულვზი | 42 | 18 | 14 | 10 | 71:40 | 68 |
| იფსვიჩი | 42 | 17 | 13 | 12 | 71:56 | 64 |
| ნორვიჩი | 42 | 18 | 10 | 14 | 57:45 | 64 |
| მილუოლი | 42 | 17 | 8 | 17 | 51:61 | 59 |
| უიმბლდონი | 42 | 15 | 11 | 16 | 66:69 | 56 |
| კრ. პალასი | 42 | 13 | 16 | 13 | 55:47 | 55 |
| პრესტონი | 42 | 14 | 13 | 15 | 65:66 | 55 |
| ჯილინგემი | 42 | 14 | 13 | 15 | 53:62 | 55 |
| როტერჰემი | 42 | 14 | 12 | 16 | 56:56 | 54 |
| უოტფორდი | 41 | 15 | 9 | 17 | 49:61 | 54 |
| ბარნსლი | 42 | 14 | 10 | 18 | 60:78 | 52 |
| ქოვენთრი | 42 | 12 | 13 | 17 | 46:58 | 49 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| დერბი | 42 | 14 | 7 | 21 | 51:65 | 49 |
| უოლსოლი | 42 | 13 | 8 | 21 | 52:65 | 47 |
| სტოკი | 42 | 9 | 14 | 19 | 41:67 | 41 |
| ბრაიტონი | 42 | 10 | 10 | 22 | 42:62 | 40 |
| უენსდი | 42 | 8 | 14 | 20 | 46:69 | 38 |
| გრიმსბი | 42 | 9 | 10 | 23 | 45:80 | 37 |



REUTERS გარსელიდან

მონაკოელებმა იბრაჰიმ ბაკაიოკო შებოჭეს და ფინალში არ გაატარეს

# 23 წლის შემდეგ

## საფრანგეთი

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**მარსელი 0:1 მონაკო**

0:1 პრსო (47)

*ფინალში 17 მაისს, პარიზის „სტად დე ფრანსზე" „სოშო" და „მონაკო" ითამაშებენ*

ხორვატი დიადო პრსოს გოლის წყალობით „მონაკომ" საფრანგეთის ლიგის თასის ფინალში გააღწია. „მონაკოს" „მარსელისთვის" 23 წლის განმავლობაში არ მოეგო და ახლა შეძლო გამარჯვება.

„მარსელს" ბოლო ტურებში მაინცდამაინც არ ულხინს. სამხრეთელებმა ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა ჯერ პსჟ-სთან და მერე „გენგამთან" წააგეს.

„ველოდრომზე" შეკრებილმა 56 ათასმა ქომაგმა თავისი გუნდის მიჯრით მესამე შინა მარცხი იხილა.

მეტოქეთა უამრავი მცდელობის მიუხედავად, პირველ ტაიმში საგოლე მომენტები არ შექმნილა. შესვენების შემდეგ სტუმარმა ჟერომ როტენმა ბრწყინვალედ ითამაშა. მარცხენა ფლანგზე ჩაინავარდა, ბურთი დადო პრსოს მიაწოდა და ხორვატმა ორი მცველის ჩამოცილების შემდეგ ველრან რუნიეს გაუტანა. „ველოდრომი" მიწყნარდა და სტუმრებმა საქმე ხათავისოდ დაასრულეს. ერთადერთი რეალური მომენტი მასპინძელ იბრაჰიმ ბაკაიოკოს ჰქონდა, რომელმაც კარს ახლოდან ააცილა.

შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მოედანზე ვითარება მაშინ დაიძაბა, როცა ჟერომ როტენმა ბრაიმ ჰედმანის წინააღმდეგ იუხეშა. ფეხბურთელთა დაწყნარება მსაჯმა ალან სარისმა სამი ყვითელი ბარათით მოახერხა.

ალსანიშნავია, რომ „მონაკოს" ჯილდოებში მხოლოდ საფრანგეთის ლიგის თასი აკლია. ამ თასისთვის „სტად დე ფრანსზე" 17 მაისს „მონაკო" „სოშოს" შეებრძოლება.

**ვაჟა ხუციშვილი**





REUTERS რომიდან

„რომას" კაპიტან ფრანჩესკო ტოტის და მის თანაგუნდელებს საუკეთესოდ არ უთამაშიათ, მაგრამ ფაბიო კაპელო მაინც კმაყოფილი დარჩა

# მნიშვნელოვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი

## იტალია

### თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი

**რომა 1:0 ლაციო (2:1)**

1:0 მონტელა (56)

**რომა:** პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კანდელა, ტომაზი, ემერსონი, დაკური, ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო (მონტელა 46)

**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო

**ლაციო:** მარკეჯანი, ოდო, ნეგრო, მიხაილოვიჩი (სიმეონე 70), ფავალი, კასტრომანი (სეზარი 46), ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი, ფიორე (კიეზა 76), კ. ლოპესი, კორადი

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**გაფრთხილება:** ნეგრო, სიმეონე, კორადი

**მსაჯი:** კოლინა

52 087 მაყურებელი

**ყველაფერი** ცნობილია: იტალიის თასის ფინალში „მილანს" „რომა" შეხვდება. რომაელებმა ნახევარფინალში რომაელები, „ლაციო" დაამარცხეს, თან ორივე შეხვედრაში, პირველში 2:1, მეორეში — 1:0.

რომაელთა და რომაელთა მატჩს ოფიციალურად მაინც უნდა ჰყავდეს მასპინძელი. პირველ შეხვედრაში მასპინძელი „ლაციო" გახლდათ, მეორეში — „რომა". შესაბამისად, პირველ შეხვედრაში მასპინძელმა 1:2 წააგო და სათასო წესისა და რიგის თანახმად, საპასუხოში ორი გოლის გატანა სჭირდებოდა. მაგრამ რობერტო მანჩინის გუნდს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია.

„ლაციოს" ყველაზე სახიფათო მომენტი 24-ე წუთზე მიეცა, როდესაც ბურთი წინგასული მეკარის, ივან პელიცოლის წინ დაეცა და გადაახტა, არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა კი გოლკიპერს შემოურბინა და დაუცველი კარის პირისპირ დარჩა, მაგრამ თავურით მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბურთი ძელს გაეხახუნა.

„ცუდად არ გვითამაშია, განსაკუთრებით მატჩის დასაწყისში, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ — განაცხადა პრესკონფერენციაზე მანჩინიმ — „რომას" ბევრი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია, თუმცა პირველი შეხვედრის ანგარიშიდან ჩანდა, რომ ჩვენ დიდი წვალება მოგვიწევდა. მეტოქე დამსახურებულად გავიდა ფინალში".

შესვენების შემდეგ „ლაციო" უფრო მონდომებული ჩანდა. 50-ე წუთზე პელიცოლის ბრაზილიელი სეზარის დაბლა დარტყმულის მოგერიება მოუხდა — სეზართან კი ბურთი იმიტომ აღმოჩნდა, რომ კლაუდიო ლოპესმა „რომას" მცველები დრიბლინგით ჩამოიტოვა, მაგრამ გამოხდა ექვსი წუთი და გოლი საპირისპირო კარში შევარდა.

„რომას" ეს გოლი „ლაციოს" გოლკიპერმა, ლუკა მარკეჯანიმ აჩუქა: ვენსან კანდელას ჩაწოდებულს თავი ვალტერ სამუელმა დაჰკრა, ხოლო მარკეჯანიმ იმის ნაცვლად, რომ ბურთი ხელებში შეემაგრებინა, ცხვირწინ ვინჩენცო მონტელას დაუგდო.

ბოლო 15 წუთში მანჩინიმ თავისი გუნდი კიდევ ერთი თავდამსხმელით, ენრიკო კიეზათი გააძლიერა, მაგრამ ყველაზე მეტი, რაც „ლაციოს" ფეხბურთელებმა მოახერხეს, დეიან სტანკოვიჩის ოფსაიდის გამო არჩათვლილი გოლი გახლდათ.

მანჩინის გამარჯვებულმა კოლეგამ, ფაბიო კაპელომ აღიარა, რომ მისმა მოთამაშეებმა საუკეთესო ფეხბურთი ვერ აჩვენეს, თუმცა მონტელა გამოარჩია:

„ძალიან მნიშვნელოვანია მან ისევ დაიწყო გოლების გატანა. განსაკუთრებით გამეხარდა ეს დერბიში რომ შეძლო. დღეს ყურადღებით ვითამაშეთ და პირველ შეხვედრაში მოპოვებული უპირატესობა შევინარჩუნეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ფინალში გავედით".

ხოლო „რომას" ქომაგებისთვის ფინალში გასვლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ვინ იცის ის ფაქტი იყოს, რომ მათი გუნდი ამ სეზონის ოთხი დერბიდან ერთშიც არ დამარცხებულა.

**პაპუნა ძედია**

## ბელგია

### თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი

**ლუვიე 2:0 ლომელი (2:3)**

1:0 სიკე (47), 2:0 ოდემვინგი (53)

*ფინალში 1 ივნისს, ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე" „ბეერსხოტი" და „ლუვიე" ითამაშებენ*

## პოლონეთი

### თასის 1/2 ფინალი პირველი მატჩები

**ვიძევი 1:2 ვისლა**

**რადომსკო 0:1 პლოცკი**

*საპასუხო მატჩები გაიმართება 23 აპრილს*

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XXIX ტური

**კერნტენი 3:1 შტურმი**

0:1 დაგი (18), 1:1 ამბროსიუსი (33), 2:1, 3:1 მ. მარიჩი (60, 87)

**შტურმი:** გრაცეი (ვებერი 49), შტრაფნერი, ბრჟეჩეკი, ანგანი, ვეტლი, მასუდი, დ. მუჟირი, ბოსნარი, დაგი, ზაუმელი (რაუტერი 71), ჩ. ამოა (მ.ჰაასი 65)

**მწვრთნელი:** ფრანკო ფოდა

**გაფრთხილება:** ვეტლი, მუჟირი

ზალცბურგი — ბრეგენცი 4:1; პაშინგი — რაპიდი 3:0; აუსტრია — რიდი 2:0; გრაცერი — ადმირა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 29 | 19 | 5 | 5 | 54:21 | 62 |
| გრაცერი | 29 | 12 | 10 | 7 | 44:29 | 46 |
| პაშინგი | 29 | 13 | 7 | 9 | 37:27 | 46 |
| შტურმი | 29 | 13 | 3 | 13 | 42:49 | 42 |
| ზალცბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:40 | 41 |
| რიდი | 29 | 10 | 7 | 12 | 36:39 | 37 |
| რაპიდი | 29 | 9 | 9 | 11 | 32:34 | 36 |
| კერნტენი | 29 | 9 | 7 | 13 | 35:44 | 34 |
| ადმირა | 29 | 6 | 10 | 13 | 25:44 | 28 |
| ბრეგენცი | 29 | 5 | 10 | 14 | 38:53 | 25 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. VII ტური

**ციურიხი 2:1 ვილი**

0:1 პასლერი (13), 1:1 გიგაქსი (58), 2:1 კეიტა (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:5 | 39 |
| ბაზელი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 37 |
| იანგ ბოისი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:7 | 28 |
| ქსამაქსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 27 |
| სერვეტი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:6 | 22 |
| ციურიხი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 21 |
| თუნი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 18 |
| ვილი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:14 | 18 |

### თასის 1/2 ფინალი

**ძსამაძსი 2:2 გრასჰოპერი**

0:1 ბატურინა (2), 0:2 პეტრიჩი (45), 1:2, 2:2 ა. რეი (52, 65)

## თურქეთი

### სუპერლიგა გადადებული მატჩები

**დიარბაქირი 1:0 ბეშიქთაში**

**დენიზლი 1:1 ფენერბაჰჩე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 27 | 19 | 7 | 1 | 50:17 | 64 |
| გალათასარაი | 27 | 20 | 3 | 4 | 50:21 | 63 |
| გენჩლერი | 27 | 18 | 6 | 3 | 67:28 | 60 |
| ტრაბზონი | 27 | 12 | 10 | 5 | 40:23 | 46 |
| ფენერბაჰჩე | 27 | 12 | 9 | 6 | 51:34 | 45 |
| გაზიანთეფი | 27 | 11 | 9 | 7 | 44:31 | 42 |
| ანკარაგიუჯიუ | 27 | 12 | 3 | 12 | 35:32 | 39 |
| მალათია | 27 | 10 | 8 | 9 | 40:36 | 38 |
| დენიზლი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:32 | 32 |
| სამსუნი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:45 | 32 |
| დიარბაქირი | 27 | 8 | 7 | 12 | 29:38 | 31 |
| ისთანბული | 27 | 8 | 6 | 13 | 32:40 | 30 |
| ალთაი | 27 | 8 | 5 | 14 | 35:55 | 29 |
| ადანა | 27 | 6 | 8 | 13 | 29:46 | 26 |
| ელაზიგსფორი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:49 | 25 |
| გიოზთეფე | 27 | 5 | 9 | 13 | 27:44 | 24 |
| ბურსა | 27 | 5 | 8 | 14 | 28:51 | 23 |
| ქოჯაელი | 27 | 5 | 4 | 18 | 26:48 | 19 |

## უკრაინა

### თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩები

**დინამო 3:1 ვოლინი (4:0)**

**შახტარი 3:1 დნიპრო (0:0)**

*ფინალში 25 მაისს, კიევის „რესპუბლიკურზე" „დინამო" და „შახტარი" ითამაშებენ*

## დანია

### სუპერლიგა. XXIII ტური

**ოლბორგი 2:0 ორჰუსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 22 | 12 | 7 | 3 | 34:21 | 43 |
| ბრონდბიუ | 22 | 10 | 7 | 5 | 42:23 | 37 |
| ფარუმი | 21 | 12 | 0 | 9 | 33:37 | 36 |
| მიდტიულანდი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:28 | 33 |
| ოდენსე | 22 | 8 | 7 | 7 | 35:29 | 31 |
| ესბიერგი | 22 | 8 | 7 | 7 | 42:40 | 31 |
| ოლბორგი | 23 | 9 | 3 | 11 | 30:33 | 30 |
| აკადემისკი | 22 | 6 | 8 | 8 | 28:28 | 26 |
| ორჰუსი | 22 | 7 | 5 | 10 | 32:43 | 26 |
| კიოგე | 22 | 8 | 2 | 12 | 35:47 | 26 |
| სილკებორგი | 22 | 5 | 7 | 10 | 27:34 | 22 |
| ვიბორგი | 22 | 5 | 7 | 10 | 33:42 | 22 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# მილანზე მოფიქრალ აიაქსს ფეიენოორდი ფინალში გამპარა

## ჰოლანდია

### ამსტელის თასი 1/2 ფინალი

**ფეიენოორდი 1:0 აიაქსი**

1:0 ბოსველტი (53)

**ფეიენოორდი:** ლოდევაიქსი, ბუფელი, დე ნოიერი, ემერტონი, პაუვე, ბოსველტი, ლურლინგი (ლოოვენსი 87), ონო, ვან ვონდერენი, კალუ (ჩ. სონგი 69), ვან ჰოიდონკი

**მწვრთნელი:** ბერტ ვან მარვიიკი

**აიაქსი:** ლობონტი, კოვუ, პასანენი (ვიჩგე 73), მაქსველი, ობრაიენი, იაკუბუ, ლიტმანენი (იბრაჰიმოვიჩი 55), სნეიდერი, ბუხარი (ვან დამი 84), ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე

**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი

**გაფრთხილება:** ბოსველტი

**გაძევება:** ვან ჰოიდონკი (87)

**მსაჯი:** როელოფ ლუინგე

43 000 მაყურებელი

*ფინალში 1 ივნისს, როტერდამის „დე კუიპზე" „უტრეხტი" და „ფეიენოორდი" ითამაშებენ*

**ამსტელისად** წოდებულ ჰოლანდიის თასს პატრონი აღარ ჰყავს: როტერდამის „ფეიენოორდმა" ნახევარფინალიდან დაიფრინა შარშანდელი გამარჯვებული, ამსტერდამის „აიაქსი" და ფინალში, რომელიც 1 ივნისს როტერდამში ჩატარდება, „უტრეხტს" ხვდება. სხვათა შორის, „უტრეხტი" შარშანაც ფინალში იყო, ახლა კი ნახევარფინალში „პსვ ეინდჰოვენი" დაამარცხა. თავის მხრივ პსვ-სთვის ეს პირველი მარცხი გახლდათ შარშანდელი 17 ნოემბრის შემდეგ.

„ფეიენოორდმა" თამაში დიდი მონდომებით დაიწყო და, რომ იტყვიან, თავზე აჯდა მეტოქეს საწყის ოც წუთში. ოღონდ ეგაა, მასპინძლებმა სტუმართა თავზე ჯდომით სარგებელი ვერ ნახეს. ამის მერე ამსტერდამელებმა ბურთი წამოიღეს და ფეიენოორდელმა მეკარე პატრიკ ლოდევაიქსმა საარაკო ნახტომში მოიგერია იარი ლიტმანენის დარტყმული. ამ ეპიზოდს თამაშის გათანაბრება მოჰყვა და პირველ ტაიმში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა.

შესვენების მერე თამაში ორმხრივი სახიფათო მომენტებით განახლდა, რომელთაგან გამოსარჩევია პიერ ვან ჰოიდონკის თავური — ბურთი აიაქსელთა კარის ძელს მოხვდა. მერე გოლიც გავიდა: მასპინძელთა ავსტრალიელმა ბრეტ ემერტონმა პოლ ბოსველტი საგოლედ გაიყვანა და მანაც თავი არ შეირცხვინა.

შეხვედრის ბოლო ნახევარი საათი „აიაქსისა" იყო, თუმცა ამსტერდამელთა მონდომებამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მასპინძლებს კაცი გაუგდეს — ვან ჰოიდონკმა ჟილ ვან დამთან უხეშობისთვის მსაჯს წითელი ბარათი დასტყუა. მაგრამ მოგვიანებით, როცა ეს ეპიზოდი ვიდეოზე ნახეს, „ფეიენოორდის" მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიკმა თქვა, მსაჯის შეცდომა აშკარა იყო და აუცილებლად გავაპროტესტებთო.

სხვა მხრივ კი, ვან მარვიკი უკმაყოფილო რატომ იქნებოდა: „დღეს დიდი გუნდი დავამარცხეთ. დაცვაში შეცდომები ფაქტობრივად არ დაგვიშვია. შეტევაში კი ძალიან აგრესიულები ვიყავით".

რონალდ კუმანი, „აიაქსის" მწვრთნელი: „სიმართლე გითხრათ, მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან" მატჩზე გვაქვს გადატანილი, რაც ჩვენს დღევანდელ თამაშს დაეტყო. ძალიან ცუდად დავიწყეთ, მეტოქეს მთლიანად დავუთმეთ მოედანი. მოგვიანებით თამაში გამოვასწორეთ, მაგრამ მეორე ტაიმი ისევ საშინლად დავიწყეთ და გოლიც გავუშვით!"

**ირაკლი ნინიძე**



REUTERS როტერდამიდან

სანამ გააძევებდნენ, პიერ ვან ჰოიდონკმა სტუმართა მეკარე ბოგდან ლობონტი გვარიანად აწერვიულა



# ენრიკე რეინას ფიქრები, ვიქნები და ვიქნები

## რადომირ ანტიჩის მოსწავლეებმა გაკვეთილი ხუთიანზე იცოდნენ

*ასეც ხდება, თან ძალიან ხშირადაც: კაცს პრეზიდენტობა გაუტკბება და ბულდოზერითაც ველარ ააგლეჯ სავარძელს. არა, ახლა ვისზეც გაიფიქრეთ, იმაზე არა, ლაპარაკი „ბარსელონას“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ენრიკე რეინაზეა.*



**მოგეხსენებათ**, ძველი პრეზიდენტი ხუან გასპარი 1 მარტს გადადგა, მისი ადგილი დროებით მესამე ვიცე-პრეზიდენტმა რეინამ დაიკავა და თქვა, ვადამდელ არჩევნებს სეზონის დასრულებისთანავე დავნიშნავო. ახლა კი რა ხდება: გუშინ რეინამ კლუბის დირექტორატი შეკრიბა და გამოუცხადა, ერთი აზრი მოსვენებას არ მაძლევს, რად გვინდა ვადამდელი არჩევნებიო. ანუ რეინას კიდევ ორი წლით ხურს გასპარის გამოთავისუფლებულ სავარძელში ჯდომა. ოღონდ რეინამ ისიც თქვა, ჯერ საბოლოოდ არ მომიფიქრებია, „იუვენტუსთან“ საპასუხო მატჩსველოდები და ნახევარფინალში თუ გავაღწევთ, მაშინ აზრი გამიმტკიცდებაო.

დირექტორატის ზოგმა წევრმა რეინას სურვილს კვერი დაუკრა, ზოგიც — წინააღმდეგი წავიდა: პრეზიდენტობა თუ გინდა, არჩევნები მოიგე, აბა, არჩევნების გაუქმებით პოსტის დაბევება სადაური წესიაო. ორმა ვიცე-პრეზიდენტმა, ფრანსისკო კლოსამ და სიქსტე კამბრამ კი დასძინეს, გინდ ასე ჰქენით, გინდა ისე, სეზონი ჩამთავრდება და ჩვენდა თავად კლუბში გამჩერებლები აღარ ვართო.

მაშინ, როცა „ბარსელონას“ დირექტორები საკლუბო პოლიტიკაზე ბჭობდნენ, რადომირ ანტიჩს ფეხბურთელები საკლასო ოთახში შეეყვანა და მოძღვრავდა. ხერხმა ერთ მხარეს დაფა დადგა, მეორე მხარეს ვიდეო და ტელევიზორი და შეგირდებს „დეპორტივოსთან“ თამაში მისხალ-მისხალ გაურჩია: ლაკორუნიელებთან შეხვედრისას მიქარული „რეალთან“ აღარ გაიმეოროთო.

ბოლოს, ანტიჩმა ჯგუფურ თერაპიას მიმართა და ფეხბურთელებს უთხრა, ახლა სათითაოდ ადექით და თქვით, რისი გაკეთება გვმართებს, შედეგები რომ გამოვასწოროთო.

მწვრთნელი პასუხებისთვის ნიშნებს არ წერდა და ამიტომაც ფეხბურთელებმა ალალად თქვეს, რასაც ფიქრობდნენ. რა აღარ ითქვა: თამაშისას ძალიან დაძაბულები ვართ და სიხალისე გვაკლია, ბურთის დამორჩილება გვიჭირსო, ხშირად ვჩქარობთო, მოედნის ცენტრში რიცხობრივ უპირატესობას ვერ ვაღწევთო და ასე შემდეგ.

მერე ზარიც დაირეკა. რადომირ ანტიჩი გაკვეთილით კმაყოფილი დარჩა.

**გიორგი დარჯანია**





გუშინ ვწერდით, რომ „ბარსელონას“ ვარჯიშისას ლუის ენრიკემ და მარკ ოვერმარსმა იჩხუბეს. დღეს კი იმ ჩხუბის ფოტოფაქტებს გთავაზობთ







# ლუიშ ფიგუ:

## მახსოვს, რაც დამავიწყდა

*ხვალ ის იქნება, ანუ ძალიან კლასიკოდ წოდებული „რეალ“ — „ბარსელონა“. შარშან შემოდგომაზე, „კამპ ნოუზე“ „სამეფო კლუბის“ სტუმრობა გეხსომებათ. გოჭის თავებზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. ლუიშ ფიგუ ხვალ აწ უკვე მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ბარსელონას“ ჩაუსაფრდება. პორტუგალიელის თქმით, მადრიდის „რეალში“ ყველაფერი რიგზეა. ამის შესახებ იგი ესპანურ „მარკას“ ესაუბრა*

**— „რეალში“ გადასვლის შემდეგ განაცხადეთ, რომ საფეხბურთო სამყაროში სახელის მოხვეჭა გსურდათ, თუმცა პოპულარობა არც „ბარსელონაში“ გაკლდათ...**

— მართალია, „ბარსელონაში“ არაფერი მაკლდა, მაგრამ მადრიდის „რეალი“ მაინც სხვაა. „სამეფო კლუბს“ მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. „რეალი“ ყოველწლიურად ამტკიცებს, რომ იგი საუკეთესო გუნდია. აქ გატარებული დროის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, თან სამ წელიწადში არაერთი ჯილდოც მოვიგე. ვფიქრობ, უკეთესს ვერც ვინატრებდი.

**— მიმდინარე სეზონში საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი მოიგეთ. ფიქრობთ, რომ გუნდს პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეუძლია?**

— რა თქმა უნდა. თითქმის ყველა გადამწყვეტი შეხვედრა გაზაფხულზე გვიწევს და საამისოდ მზადყოფნა გვჭირდება. ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ჩვენ ფავორიტები და მეტოქეებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. თავად განსაჯეთ, „რეალს“ პრიმერადივიზიონის მოგების საუკეთესო შანსი აქვს, განა ასე არ არის?

**— შაბათის მატჩზე ალბათ ბევრს ფიქრობთ...**

— ცხადია, ეს განსაკუთრებული თამაშია. ჩემი წარსული და „ბარსელონაში“ გატარებული წლები კი მახსენდება, მაგრამ ვცდილობ, ამაზე ნაკლებად ვიფიქრო. ახლა „რეალში“ ვარ და მთლიანად ამ გუნდისთვის ვიხარჯები. კატალონიაში გატარებული წლები, სიმართლე გითხრათ, ტვირთად ნამდვილად არ მაწევება. ბევრი ამის შესახებ გაუთავებლად ლაქლაქებს, თუმცა ყურს არ ვუგდებ.

**— „კამპ ნოუზე“ მომხდარი შარშანდელი ამბები ალბათ, ჯერ არ დაგვიწყებიათ...**

— რა დამავიწყებს იმ საშინელ დღეს, მაგრამ ეს უკვე იყო და ვცდილობ, თავიდან ამოვიგდო.

**— თუ „რეალი“ მოიგებს, „ბარსელონა“ გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს აღმოჩნდება...**

— მეეჭვება, რომ რადომირ ანტიჩის გუნდი პრიმერადივიზიონიდან გავარდეს. ამჟამად საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ.

**— ჯერ „ბარსელონა“, მერე „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“, რთული იქნება...**

— კი მაგრამ, ხანდახან საქმე ასარჩევად არ გვაქვს. ეს ხომ ფეხბურთია.

**— გამორიცხული არ არის, რომ „რეალი“ და „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კვლავ შეხვდნენ.**

— ეს რეალური ამბავია და, ვფიქრობ, თუ ასე მოხდა, მსოფლიო კიდევ ორ ბრწყინვალე ბრძოლას იხილავს.

**— „ბარსელონასთან“ მატჩში კუთხურებს თქვენ შეასრულებთ. თუ ლიგის ნახევარფინალში კატალონიელებს გადაეყრებით, „კამპ ნოუზე“ შარშანდელივით კვლავაც მიხვალთ კუთხურის ალამთან?**

— არც მეშინია. მწვრთნელი რასაც დამავალებს, იმას გავაკეთებ.

**— მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს გასიგრძეგანებული აქვთ, რას ნიშნავს მათი ქომაგებისთვის „ბარსელონას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დამარცხება.**

— უეჭველად ასეა და ამიტომაც გვსურს, ჩვენს გულშემატკივრებს კიდევ ერთი გამარჯვება ვაჩუქოთ. საჩემპიონო ბრძოლაში ამ მატჩის მოგება დიდად წაგვადგება, თან სამანჩესტეროდ ხასიათსაც გამოვიკეთებთ.

**— მადრიდის „რეალს“ პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ჯანი ეყოფა?**

— ყველაფერი ფიზიკურ მომზადებაზეა დამოკიდებული, ისე კი, კლასით „რეალს“ ნებისმიერ მოედანზე ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეუძლია.

**— მადრიდში ბექჰემის გადმოსვლაზე და გუნდიდან თქვენს შესაძლო წასვლაზე რას იტყვით?**

— რა გითხრათ. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მთავარია, რომ „რეალის“ გულშემატკივრებს ვუყვარვარ. მადრიდიდან წასასვლელად მიზეზი არ მაქვს. რაც შეეხება ჭორებს, ყოველთვის იყო და იქნება.

**— სპეციალისტების აზრით, ლუიშ ფიგუ ამჟამად ოპტიმალურ ფორმაშია...**

| 18.00 | 2222 | მილანი-ემპოლი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2223 | მოდენა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2224 | პარმა-ტორინო | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2225 | პერუჯა-ატალანტა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2226 | უდინეზე-კომო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2227 | იუვენტუსი-რომა | 1,85 | 1,75 |
| 21.30 | 2228 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2237 | ვილარეალი-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2229 | რეალი-ბარსელონა | 1,95 | 1,65 |
| | | **20 აპრილი** | | |
| 20.30 | 2230 | ლევერკუზენი-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2231 | ბოხუმი-შტუტგარტი | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 2232 | დეპორტივო-სევილია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2233 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2234 | ოსასუნა-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2235 | რასინგი-უელვა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2236 | ალავესი-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2238 | ბეტისი-ატლეტიკო | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2239 | სოსიედადი-რაიო | 1,95 | 1,65 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 2102 | ტოტენჰემი-სიტი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | | **19 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2103 | ჰანზა-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 2104 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 2105 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 2106 | მიუნხენი-ჰამბურგი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2107 | ნიურნბერგი-არმინია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 2108 | კოტბუსი-მ.გლადბახი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 2109 | ჰანოვერი-კ.ლაუტერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 2110 | ასტონ ვილა-ჩელსი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 2111 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 2112 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2113 | ევერტონი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2114 | ფულემი-ნიუკასლი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,6 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 2115 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 19.00 | 2116 | მიდლსბრო-არსენალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 2117 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 2118 | სანდერლ.-ვ.ბრომვიჩი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2119 | ბრეშა-ინტერი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 2120 | კიევო-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 2121 | ლაციო-პიაჩენცა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 18.00 | 2122 | მილანი-ემპოლი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2123 | მოდენა-ბოლონია | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2124 | პარმა-ტორინო | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 6,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 2125 | პერუჯა-ატალანტა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 2126 | უდინეზე-კომო | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.30 | 2127 | იუვენტუსი-რომა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 21.30 | 2128 | ვალიადოლ.-ვალენსია | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 21.30 | 2137 | ვ.რეალი-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 00.30 | 2129 | რეალი-ბარსელონა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | | **20 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2130 | ლევერკუზენი-შალკე | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.30 | 2131 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 2132 | დეპორტივო-სევილია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 2133 | ესპანიოლი-ბილბაო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 | 2134 | ოსასუნა-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 2135 | რასინგი-უელვა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 2136 | ალავესი-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 22.00 | 2138 | ბეტისი-ატლეტიკო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 2139 | სოსიედადი-რაიო | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | |
| 19.00 | 2302 | ტოტენჰემი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| | | **19 აპრილი** | | |
| 18.30 | 2303 | ჰანზა-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2304 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2305 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2306 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2307 | ნიურნბერგი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2308 | კოტბუსი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2309 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2310 | ასტონ ვილა-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2311 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2312 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2313 | ევერტონი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2314 | ფულემი-ნიუკასლი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2315 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2316 | მიდლსბრო-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2317 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2319 | ბრეშა-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2320 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2321 | ლაციო-პიაჩენცა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2322 | მილანი-ემპოლი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2323 | მოდენა-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2324 | პარმა-ტორინო | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2325 | პერუჯა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2326 | უდინეზე-კომო | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2327 | იუვენტუსი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 21.30 | 2328 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2337 | ვილარეალი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2329 | რეალი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| | | **20 აპრილი** | | |
| 20.30 | 2330 | ლევერკუზენი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2331 | ბოხუმი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2332 | დეპორტივო-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2333 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2334 | ოსასუნა-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2335 | რასინგი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2336 | ალავესი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2338 | ბეტისი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2339 | სოსიედადი-რაიო | 1,75 | 1,85 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46

(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Ⅰ კორპუსი

**ბიუროში უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00-21.30 კვირა 12.00-20.30**


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბიჭი რომელიც შენზე მეტს შეძლებს



რაფაელ ნადალი

**TENNIS MASTERS MONTE CARLO**

**თიხნარი**

**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 3:6, 6:2, 7:5; **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) 7:5, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) 6:4, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — დავიდ ნალბანდიანი (6, არგენტინა) 6:2, 7:6 (8:6); **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) 6:4, 4:6, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — რაინერ შიუტლერი (8, გერმანია) 6:2, 6:4; **სხენგ შალკენი** (9, ჰოლანდია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 7:5, 6:2; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — გუსტავო კუერტენი (10, ბრაზილია) 1:6, 7:5, 6:2; **გასტონ გაუდიო** (13, არგენტინა) — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:1; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ჯეიმს ბლეიკი (15, აშშ) 6:0, 6:7 (3:7), 6:3; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 3:6, 6:2, 6:2; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:1; **ვინსენტ სპედია** (აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:1, 6:2

ამ დღეს გამართული თექვსმეტი მატჩიდან ნახევარი მაინც მოულოდნელად დამთავრდა, მაგრამ იმაზე, თუ ამ შეხვედრათაგან რომელს მიეცემოდა მთავარსათაურებში ალზევების უფლება, არავის ეჭვია — 16 წლის მალიორკელი ბიჭის, რაფაელ ნადალის მიერ შარშანდელი მეოთხედფინალისტის თვისტომის, ალ კოსტას გაბუნძურება დასტურ შეუცვლელ სენსაციად იქცა.

ჭაბუკ რაფაელზე გუშინაც გიამბეთ. თუ ამ ძიძიხალვას გასცნობიხართ, მაშინ ისიც გეხსომებათ, მალიორკელივე კარლოს მოიას წინასწარმეტყველების თანახმად, ორიოდ წლის მერე იგი კაცთა ამქრის ჩემპიონში უნდა ვიხილოთ.

ეგ ამბავი ეგრე იქნება თუ არა, ცხადია, არავინ უწყის, თუმცა რაც ცნობილი ბარსელონელი ფეხბურთელის, მიგელ ანხელ ნადალის მეჩოგნე ძმისშვილმა ამ ბოლო დღეების განმავლობაში მონტეკარლოურ ზეპურთიხნარზე დაათია, საქმეში ჩახედული ხალხი ალბათ კაი ხანი ვერ დაივიწყებს.

ყოველ შემთხვევაში, რაფოს ფრანგული ჩოგბურთის პატარა უფლისწულს, რიშარ გასკეს ადარებენ, რომელიც შარშან მხოლოდ 15 წლისა და 10 თვისა იყო, რაგინდარა მასტერსმატჩის მომგები უმრწემესი კაცი რომ შეიქნა; მაგრამ ესპანელმა თავისკბილა ფრანგს უკვე იმით გადააჭარბა, რომ მონტეკარლოურ თიხნარზე სამეორწრეო მატჩის მოგებაც შეძლო.

ორმა მონტეკარლოურმა გამარჯვებამ ნადალი კლასიფიკაციის ზეასეულშიც ალაზევა. ნამატჩევს მუჩაჩიტო ამბობდა, რომ წლის დასაწყისში ვერც კი წარმოიდგენდა, ყველაფერი ასე მალე თუ უნდა მომხდარიყო.

„მაგრამ იმედია, ჩემი წინსვლა აქ არ შეწყდება — თქვა მან — ახლა ჩემს თავს უფრო მეტს მოვთხოვ და უფრო მაგრად ვივარჯიშებ... ალბერტს უღიდეს პატივს ვცემ, მაგრამ თუკი რალაცის მიღწევა მსურს, სწორედ მისდარ მოთამაშეებთან პაექრობა და წარმატებები მჭირდება... ეტყობა, ჩემთან თამაშის წინ ზედმეტად ინერვიულა — მოგების შემთხვევაში მას არავინ შეაქებდა, წაგებისას კი საყოველთაო ქოქოლა ელოდა.“



გუსტავო კუერტენი

სხვაფრივ — მესამე წრეს (სათავნო ცამეტიდან) ექვსმა ესპანელმა მეჩოგნემ მიაღწია. ჯიშად მეთიხნარეთა არმადას აქაც შარშანდელმა გამარჯვებულმა ფერერომ და შარშანდელმავე ფინალისტმა, 1998 წლის ჩემპიონმა მოიამ უყურეს.

2000 წლის როლანგაროსული ფინალი განმეორდა შვედი მაგნუს ნორმანისა და ბრაზილიელი გუსტავო კუერტენის შეხლაში, ოღონდ იმ ფუნდამენტური განსხვავებით, რომ ამჯერად გამარჯვება ჩრდილოელმა ირგუნა.

გუგა, ვინაც ტურნირის 2001 წლის პირველოსანია, ხოლო შარშანდელ ტურნირს ზურგის ტრავმის გამო დააკლდა, მაინცდამაინც დამაჯერებლად არც პირველ შეხვედრაში გამოიყურებოდა, ამ ჯერზე კი სულაც მოგებული პირველი სეტის შემდეგ ჩაფლავდა.

მაგნუს ნორმანს კი აქამდე ერთხელაც ვერ მოეხერხებინა, მონტეკარლოურ თიხნარზე მეორე წრეს რომ გასცილებოდა.

**BAUSCH &LOMB CHAMPIONSHIPS**

**ამელია აილენდი. თიხნარი**

**საპრიზო 585 ათასი $**

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:3, 6:0; **ელენა დოკიჩი** (5, სერბეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:5, 5:7, 6:1; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — ანკა ბარნა (გერმანია) 2:6, 7:6 (7:5), 6:3; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — მაია მატევზიჩი (სლოვენია) 6:1, 4:1 მატევზიჩმა შეწყვიტა; **მეგენ შონესი** (9, აშშ) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ელენა დემენტიევა** (19, რუსეთი) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:1, 7:5; **ნატალი დეში** (11, საფრანგეთი) — მარია ვენტო-კაბში (ვენესუელა) 7:5, 4:6, 7:5; **პაოლა სუარესი** (15, არგენტინა) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 4:6, 7:5, 6:3

განსხვავებით კაცთა ამქრისგან, სადაც უსახელო მეტოქენი სახელიანებს გამუდმებით ედავებიან გალმა, ქალთა განყოფილებაში მსუყე უცნაურობანი თუ სენსაციები ძალზედ იშვიათი ხილია.

ასევე მდორედ მიედინება ამელიააილენდური ჩოგნაობაც. ანგარიშებზევე დაატყობთ, იმ დღეს შემდგარი რვა მატჩიდან რვაშივე განთესილმა ქალებმა იხეირეს.

ტურნირის პირველმეჩოგნე ენენ-არდენმა მადაგასკარელ რანდრიანტეფის გადაუარა და, რაკილა მისმა სამესამწრეო მეტოქემ, არგენტინელმა კლარისა ფერნანდესმა მარცხენა მაჯა წამოიტკივა, ავტომატურად მეოთხედფინალში დაბინავდა.

ფეხის ტრავმით გამოწვეული ორთვიანი უქმობის შემდეგ კორტს მოუბრუნდა მონიკა სელეში. ტურნირის ორგზის (1999, 2000) ჩემპიონმა უკანასკნელად დუბაურ ფინალში ითამაშა და იქ სწორედ სიფრიფანა ჟუსტინთან დამარცხდა.

29 წლის მონიკა ცოტა მოყანგულად გამოიყურება და იმ დღეს გერმანელ ბარნასთან ისე გაუჭირდა, ტურნირზე დიდხანს გაძლერებლის ელფერი არ უნდა ელოს.

**ლევან ძელაურაძე**





# რაც რომ ამ ქალს მოხვედრია
# PLAYGIRL IN PLAYBOY

**რეგინა ჰალმიხი** ერთი ნოყიერი გერმანელი გოგოა, მიწიდან სადღაც მეტრსა და სამოც სანტიმეტრს აითვლის, მსუყე ბაყვმკლავებით 50 კილო ქალური ხორცი დააქვს და — რაც მთავარია — ამ ბუზისწონაში მსოფლიოს საკრივო დედოფალიც გახლავთ.

საერთაშორისო — და თან არა მხოლოდ სპორტული — მასმედიის გამორჩეული ყურადღება კი მან მას შემდეგ მიიპყრო, რაც რომ თავისი ამვიაგრებელი ავლადიდება სახურუშო ჟურნალ „პლეიბოის“ ხალისიან გვერდებზე გამოფინა.

„რინგზე ჩემი ეროტიკული ქარიზმა შეზღუდულია — ამბობს ხარაბუზა ჩემპიონი — „პლეიბოის“ ფოტოობიექტივების წინაშე კი ბოლომდე დავიხარჯე, რათა სამყაროსთვის მთელი ჩემი ქალური ბარაქა მეჩვენებინა.“

ათიოდ დღის მერე 26 წლის რეგინას მორიგი საჩემპიონო რკენა მოელის. მას ინგლისელი კეტი ბრაუნი გაეკრივება.

ვნახოთ — იქონიებს თუ არა კეტიზე რაიმე გავლენას მისი მეტოქის ხორციელ მშვენებათა ასეთი დამთრგუნველი გამოფენა. თუმცა მას არა მხოლოდ მეტოქის საკუთრივ ქალური ამბებისა უნდა ეშინოდეს — აქამდე გამართული 32 ბრძოლიდან რეგინა ჰალმიხი მხოლოდ ერთხელ ძლეულა, ათი შეხლა კი ნოკაუტით დაუსრულებია.





# პოლგარს ძალიან არ უნდოდა

*ბუდაპეშტში მიმდინარე „ნიჭისა და სითამამის“ ტურნირზე მეხუთე ტური ყველაზე საინტერესო გამოდგა. ამ დღეს გათამაშების ფავორიტები უნგრელი ქალ-ვაჟი იუდით პოლგარი და პეტერ ლეკო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.*



პეტერ ლეკო

შეგახსენებთ, რომ ლეკოს პირველივე დღიდან ამ ტურნირის მოგებას უწინასწარმეტყველებენ. პოლგარი კი, რომელიც მოჭადრაკე ქალთა რეიტინგს პირველობს, მეხუთე ტურამდე ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობდა.

პარტია პოლგარმა კლასიკური E4-ით დაიწყო, რასაც ლეკომ სიცილიური C5-ით უპასუხა. იუდიტმა თავიდანვე შეტევაზე დაიწყო ფიქრი და მესამე-მეოთხე სვლაზე მეტოქეს პაიკები გაუცვალა. შემდეგ პოლგარი უფრო გათამამდა და თავისი ფიგურები მეტოქის მეფის ფლანგზე გადაისროლა, თუმც ლეკომ დაცვაში უშეცდომოდ ითამაშა, მეტოქე საკუთარი ტერიტორიიდან გააძევა და თავად გადმოვიდა კონტრშეტევაზე. მისი იერიში პოლგარისაზე აგრესიული და გონივრული გამოდგა. ლეკომ საკუთარი ლაზიერით სულ შავი დღე აყარა მეტოქის ფლანგს და თავის ფიგურებს იერიშისთვის გზა გაუხსნა. მე-20 სვლაზე პეტერმა პაიკები ჩართო შეტევაში, თანაც ისე, რომ მეტოქის ფიგურების უმეტესობას საკუთარსავე მოედანზე მოქმედების საშუალება წაერთვათ. მდგომარეობის გამოსასწორებლად პოლგარმა თავისუფლად მდგარი ეტლი გამოიყვანა და მეტოქის ლაზიერი გააქცია თავისი ტერიტორიიდან. პოლგარი ამის შემდეგ შეტევას მოერიდა და უფრო დაცვით თამაშზე გადავიდა, თუმცა ეპიზოდებში პატარ-პატარა იერიშებითაც ირთობდა თავს. ლეკომ იოლად ამოიცნო პოლგარის სათამაშო სტილი, მეტოქეს დაცვა მოუშალა და პაიკების გაყვანას შეუდგა. პოლგარი მიხვდა, რომ ამ პარტიას ველარ მოიგებდა და ყაიმისთვის დაიწყო ფიქრი. იგი საკუთარი ლაზიერით რამდენჯერმე დაემუქრა მეტოქის მეფეს. თუმცა ვაჟი არ წამოეგო ქალის ანკესს, ხელმწიფე საიმედოდ დაიცვა და პაიკი მოედნის კიდეს მიაყენა. პოლგარმა ჩათვალა, რომ თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და თანამემამულეს გამარჯვება მიულოცა.

ამ მარცხით პოლგარმა ლიდერობა დაკარგა და პირველი ადგილი ინგლისელ ნაიჯელ შორტს დაუთმო. ამას პოლგარივით 3,5 ქულა მოუნაგრია, თუმც უკეთესი მაჩვენებლით პირველია. უნდა აღინიშნოს, რომ შორტს ამავე ტურში შეეძლო, უფრო დიდი უპირატესობითაც დაწინაურებულიყო, თუმცა მასპინძელ პეტერ აჩს ვერაფერი მოუხერხა და 76-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა.

დარჩენილი მატჩებიდან აღსანიშნავია სლოვაკეთის დროშით მოთამაშე, თბილისელი მოვსესიანის ყაიმი კორჩნოისთან. მოვსესიანი 2,5 ქულით ცხრილში ებრაელ გელფანდთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

**ლუკა გეგეჭკორი**

# საქართველო რუსეთის ბედისწერაა
## ჩვენებმა ისინი მესამედაც მოსრეს

*საფრანგეთში ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა 16:8 დასცა რუსეთი და ახლა მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში იაპონიას შეხვდება. თავის მხრივ იაპონიამ საკმაოდ ძლიერი იტალია 29:10 დაამარცხა. ჩვენი ჭაბუკები გუშინწინ რუსეთს მესამედ შეხვდნენ და მესამედ მოუგეს. გუშინ საფრანგეთში საქართველოს ნაკრების მენეჯერ დიმიტრი ობოლაძეს დავუკავშირდით და რუსეთთან გამართულ და იაპონიასთან გასამართ მატჩებზე დავეკითხეთ*

— რუსეთთან ძალიან გაგვიჭირდა და ძალიანაც ვინერვიულეთ. საკმაოდ დაძაბული და რთული შეხვედრა იყო. ჩვენი ბიჭებიც ბევრს ცდებოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ჯახი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. წინა შეხვედრებში რუსეთს შედარებით იოლად მოვუგეთ, ახლა კი მათ გაცილებით ძლიერი ნაკრები ჰყავთ. რუსეთი უფრო ჟინისა და მონდომების ხარჯზე დავამარცხეთ.


დიმიტრი ობოლაძე

**— ჩვენებიდან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— ძალიან კარგად ითამაშეს გიორგი ელიზბარაშვილმა, გიორგი ალიქაძემ, დაჩი ყუფარაძემ და მამუკა გორგოძემ. ამ ტურნირზე ალიქაძე საუკეთესოა ჩვენს ნაკრებში, გორგოძე კი მართლაც რომ კაპიტანია.

**— იაპონიის მატჩები ნახეთ?**

— სამწუხაროდ არა, ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ იაპონიას შარშან მოვუგეთ და ამ გუნდზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს. საკმაოდ სწრაფები და ტექნიკურები არიან, ჯანიანი ბიჭებიც ჰყავთ.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. ჩვენ რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე გვყავს. რუსეთთან დაშავდნენ გიორგი გეგიძე, გიორგი ელიზბარაშვილი, დაჩი ყუფარაძე... ვნახოთ, თუ ისინი მომჯობინდნენ, ჩვენი შანსებიც გაიზრდება. ისე კი, მინიმუმ შარშანდელი შედეგი ანუ მეათე ადგილი უკვე გარანტირებული გვაქვს და თუ იაპონიასაც მოვუგებთ, შარშანდელ შედეგს გავაუმჯობესებთ. მთავარია, რომ საუკეთესო თექვსმეტ გუნდში დავრჩით. ყოველ შემთხვევისთვის, უკან ნაღდად არ მივდივართ.

**ბაჩო სვანიძე**

16 აპრილი

**ნახევარფინალი**

**ახ. ზელანდია 27:24 არგენტინა**

**ს. აფრიკა 20:15 საფრანგეთი**

**5-8 ადგილებისთვის**

**ირლანდია 28:22 შოტლანდია**

**ინგლისი 15:11 უელსი**

**9-12 ადგილებისთვის**

**საქართველო 16:8 რუსეთი**

**იაპონია 29:10 იტალია**

**13-16 ადგილებისთვის**

**ნამიბია 16:11 რუმინეთი**

**სამხრეთ კორეა 15:10 კანადა**

20 აპრილი

**ფინალი**

**ახ. ზელანდია — ს. აფრიკა**

**3 ადგილისთვის**

**არგენტინა — საფრანგეთი**

**5 ადგილისთვის**

**ირლანდია — ინგლისი**

**7 ადგილისთვის**

**შოტლანდია — უელსი**

**9 ადგილისთვის**

**საქართველო — იაპონია**

**11 ადგილისთვის**

**იტალია — რუსეთი**

**13 ადგილისთვის**

**ნამიბია — სამხრეთ კორეა**

**15 ადგილისთვის**

**რუმინეთი — კანადა**


ამ დაძაბულ, ნახევარფინალურ შეხვედრაში ახალზელანდიელმა „შავებმა" არგენტინელი „პუმები" დაამარცხეს



**NHL სტენლის თასი. პირველი წრე**

**ოთხ მოგებამდე**

*ვისაც დეტროიტის სული სურს, აუცილებლად უნდა შეიძინოს ნიდერმაიერების ოჯახის რომელიმე წევრი. ბოლო 9 წელიწადის განმავლობაში „წითელფრთიანთა" მანქანა 0:4 ორჯერ გაიჭყლიტა. პირველად ეს 1995 წელს ნიუ ჯერსიმ მოახერხა, რომლის რიგებშიც სკოტ ნიდერმაიერი ასპარეზობდა, მეორე — სკოტის უმცროსი ძმის, რობის ანაჰაიმმა. ეს იყო ხმაურიანი სენსაცია — დეტროიტმა ჩემპიონის უფლებამოსილება პირველივე წრეში დაკარგა. ბოლოს მოქმედმა თასის მფლობელმა სერია 0:4 50 წლის წინ წააგო.*

# ფრთები გინდა?
## დეტროიტი გაიპუტ-გაიბუტა

### დასავლეთი

### დეტროიტი 0:4 ანაჰაიმი

**ანაჰაიმი 3:2 დეტროიტი** *1:1 0:0 1:1 1:0*

**0:1 ზეტერბერგი (14), 1:1 კარია (16), 2:1 კროგი (45), 2:2 ფიოდოროვი (58), 3:2 რუჩინი (67)**

აი, რას ნიშნავს, როცა ფორტუნა ზურგს გაქცევს! ბედისწერამ კარგახანს აწვალა ჩემპიონი, დააწიოკა, ძელებიც კი მის წინააღმდეგ გამოიყენა და უცბად, როცა ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წუთიღა რჩებოდა, შეიბრალა ფავორიტი და გოლი აჩუქა. სერგეი ფიოდოროვმა შაიბა კარისკენ გაგზავნა. იგი გზად ანაჰაიმელ მცველს მოხვდა და საუცხოოდ მოთამაშე მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერი გაიოგნა — 2:2. სტუმრებს გადარჩენის შანსი გაუჩნდათ, თუმცა ამან მხოლოდ გაახანგრძლივა მათი აგონია. დამატებითი დროის მე-7 წუთზე ანაჰაიმის პირველივე ნაღდი შეტევა გოლით დასრულდა. სტივ რუჩინი კართან უმეთვალყურეოდ დარჩა...

„ვილაცას ჩემთვის რომ ეკითხა, სერიის 4:0 დამთავრებაზე რას იტყვიო, არა მგონია, დეტროიტმა ასე მოგვიგოს-მეთქი, მივუგებდი. გამარჯვებაზე კი არც გვიოცნებია" — თქვა მატჩის შემდეგ სერიის მთავარმა გმირმა ჟიგერმა. როგორც იქნა, ანაჰაიმმა გული მოიოხა. ეს გუნდი ხომ წინა წლებში დეტროიტმა ორჯერ გაანადგურა ამ ანგარიშით.



ანაჰაიმელმა სტივ რუჩინმა ჩემპიონი დეტროიტი ყინულიდან შერცხვენილი გაისტუმრა

### კოლორადო 3:1 მინესოტა

**მინესოტა 1:3 კოლორადო** *0:2 0:0 1:1*

**0:1 საკიკი (7), 0:2 საკიკი (9), 1:2 გაბორიკი (57), 1:3 პაინოტი (59)**

კოლორადოს კაპიტან ჯო საკიკს უამრავი მეტსახელი აქვს. მის თიკუნთა კოლექციას ამიერიდან შეგვიძლია, ერთიც დავამატოთ — მომაჯადოებელი. ყოველ შემთხვევაში, მინესოტელ მეკარეზე მისი დარტყმები სწორედ რომ ამგვარ ზეგავლენას ახდენს. ზედიზედ მეორე თამაშია, საკიკის საფირმო დარტყმები კოშმარად ექცა დუეინ როულსონს. ოღონდ, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, „მომაჯადოებელმა ჯომ" ორჯერ აიღო როულსონის კარი. მასპინძელთა საუბედუროდ, ეს მატჩის დაწყებისთანავე მოხდა. არადა, თვით გუნდის თავკაცმა ჟაკ ლემერმაც კი განსაკუთრებულად შეაქო შეგირდები, თქვა, წინა მატჩში ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, მაგრამ ამჯერად კიდევ უფრო უკეთესად გავისარჯეთო. ეგებ მართლაც ასეა, მაგრამ ამ ძალისხმევამაც ვერაფერი უშველა „უაილდს", რადგან პატრიკ რუა სასწაულებს სჩადიოდა. მხოლოდ მარიან გაბორიკმა შეძლო მატჩის ბოლოს რუას მოტყუება, მაგრამ კოლორადომ ისე სწრაფად უპასუხა, რომ მინესოტელებს იმედის ნატამალიც წაართვა. ბოლო საგოლე კომბინაციაშიც საკიკის ხელი ერია.

### ვანკუვერი 1:3 სენტ ლუისი

**სენტ ლუისი 4:1 ვანკუვერი** *0:1 2:0 2:0*

**0:1 ნესლუნდი (12), 1:1 პრონგერი (25), 2:1 დრეიკი (36), 3:1 რუჩინსკი (55), 4:1 რუჩინსკი (56)**

ვანკუვერს ამჯერად მარკუს ნესლუნდის გამოფხიზლებამაც ვერ უშველა. წინ კი გავიდა, მაგრამ... სენტ ლუისისთვის ხომ ანგარიშში ჩამორჩენა საუკეთესო გამღიზიანებელია. სწორედ ნესლუნდის შაიბის შემდეგ ათამაშდა სენტ ლუისი მთელი ძალით. ვანკუვერის თავკაცმა მარკ კროუფორდმა თავისი პირველი სამეულიც კი დამალა, ლიდერები რომ გამოეცოცხლებინა, მაგრამ თუ ნესლუნდმა ერთი მაინც გაიტანა, ტოდ ბერტუცი და ბრენდან მორისონი ვერაფრით გამოირჩნენ. ისე, ბერტუციმ მაინც „გამოიჩინა" თავი — მთელი მატჩის განმავლობაში მცველ ბარეტ ჯეკმანს ურჩევდა საქმეს და საბოლოოდ 6 საჯარიმო წუთს გამოჰკრა ხელი.

### აღმოსავლეთი

### ფილადელფია 2:2 ტორონტო

**ტორონტო 2:3 ფილადელფია**

*1:1 0:1 1:0 0:0 0:0 0:1*

**0:1 რეკი (2), 1:1 გრინი (5), 1:2 რენიკი (21), 2:2 სუნდინი (42), 2:3 რეკი (114)**

ტორონტოს კარში გასული სამივე გოლი ნაწილობრივ ედი ბელფორის სინდისზეა, მაგრამ მას მაინც ვერავინ დაადანაშაულებს კანადელთა წაგებაში. პირიქით, სწორედ „არწივის" გმირობებმა გაწელა ეს თამაში მესამე ოვერტაიმამდე — მან 72(!) დარტყმა მოიგერია იმ საბედისწერო წუთამდე, როცა მარკ რეკიმ ფარული დარტყმით გააცურა გამოცდილი მეკარე. ესეც რომ მოეგერიებინა, 16 წლის წინ დამყარებულ პლეი ოფის რეკორდს გაიმეორებდა...

„დარტყმების სასწაულებრივი ოდენობა იყო, მაგრამ ედი მეომარია და ყველაფერი გააკეთა მოგებისთვის" — თქვა მატჩის შემდეგ ტორონტოს თავკაცმა პეტ ქუინმა. აქვე დავძენთ, რომ მასპინძლებს კიდევ ერთი ლიდერი, ალექსანდრ მოგილნი აკლდათ.

### ოტავა 3:1 აილენდერსი

**აილენდერსი 1:3 ოტავა** *0:2 1:1 0:0*

**0:1 ფიშერი (1), 0:2 ვოლჩენკოვი (5), 1:2 ოკოინი (23), 1:3 ბოსა (29)**

ამ მეტოქეთა ჭიდილში კანადური კლუბის უპირატესობა აშკარაა. ასეთ შოკს იშვიათად თუ გადაურჩება ვინმე და ვერც „აილენდერსი" გადაურჩა. პირველ 5 წუთში „სენატორებმა" ორი გოლი გაიტანეს და არსებითად ყველაფერი გადაწყვიტეს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, აილენდერსმა ვეღარ შეძლო დაცვაში ჩასაფრებული მეტოქის ციხესიმაგრის დანგრევა.

„მათ ლიდერებს დაღლა დაეტყოთ. დიდად არ გაგვჭირვებია, ერთი რიგითი, მოსაწყენი მატჩი ჩავატარეთ სტუმრად" — თქვა ოტაველმა ბრაიან სმოლინმა.

### ტამპა 2:2 ვაშინგტონი

**ვაშინგტონი 1:3 ტამპა** *0:0 1:2 0:1*

**0:1 სან ლუი (32), 1:1 ბონდრა (36), 1:2 სან ლუი (38), 1:3 ლეკავალიე (42)**

რაც ტამპას თავკაცმა ჯონ ტორტორელამ მარტენ სან ლუი პირველ სამეულში გაამწესა, ჯუჯა ფორვარდმა ფრიად მოილხინა, მისმა ახალმა პარტნიორებმა, ვენსან ლეკავალიემ და ვაცლავ პროსპალმა კი ფრთები გაშალეს. ბოლო ორ მატჩში გატანილი შვიდივე გოლში უდევთ წილი. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში თავისი მეორე შაიბა სან ლუიმ უმცირესობაში შეაგდო. ტორტორელა ალბათ ლოცავს იმ წუთს, როცა ჯუჯას დაწინაურება მოუვიდა თავში.

**სამველ ლარიბიანი**

# „შენც წადი!“ უთხრა მაიკლმა ჯორდანს

*მაიკლ ჯორდანის უკანასკნელი თამაში წესით სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო. ყველას სურდა, 16 აპრილის შეხვედრა „ფილადელფიასთან“ ჯორდანს ისევე ლამაზად ჩაეტარებინა, როგორც თავისი ცისარტყელოვანი კარიერის სხვა ასეულობით მატჩი. მხოლოდ თავად ჯორდანი პასიურობდა და ისე გამოვიდა, მისი ბოლო თამაში მარგალიტებით მოოჭვილ კარიერას კი არა, კარიერის ბოლო ორწლიან მონაკვეთს დაემსგავსა, სადაც კალათბურთის ღმერთი კალათბურთით დაღლილ ბებერ მოკვდავად წარმოგვიდგა*




REUTERS

## ღმერთმა თქვა, დავიღალეო და ბოლო ბურთი ესროლა

ჯორდანმა თავიდან კი მოიწადინა, თანაგუნდელებიც ეხმარებოდნენ და მაინცდამაინც არც ფილადელფიელი მეტოქეები დასდევდნენ. „ვაშინგტონმა“, რომელიც ჯორდანული ეპოქის მეორე სეზონშიც ასცდა პლეი ოფს, ახლა უარი თქვა ბრძოლაზე. დედაქალაქელები იმას ცდილობდნენ, დიადი თანაგუნდელისთვის ნამდვილი ბენეფისი მოეწყოთ, მაგრამ თამაში დაიწყო და ჯორდანი თანდათან დაიღალა. ერთ მომენტში მან კალათთან ჩასატენად დაკიდებული ბურთი ვერ დაიჭირა, მისავათებულმა ბოლოს სათადარიგოთა სკამსაც მიაშურა.

ფილადელფიურ პუბლიკას კი ჯორდანის თამაშის ხილვა სურდა და 20 000 კაცი მოედანზე მის დაბრუნებას ითხოვდა. მაიკლი მეოთხე მეოთხედის დასაწყისში გამოჩნდა, მაგრამ ეს არ იყო ფართა და მეტოქეთა რისხვა ჯორდანი. მან ბოლო ქულები წყვილი საჯარიმოებით მიითვალა და უკანასკნელ შეხვედრაში 15 ქულა შეაკოწიწა.

„მწვრთნელმა მითხრა, მაიკლზე დავჯარიმებულიყავი, რათა მას ასე მაინც მისცემოდა ქულების კეთების საშუალება“ — ამბობს ფილადელფიელი ერიკ სნოუ. რა გულისჩამწყვეტი სურათია — მაიკლ ჯორდანს მეტოქეები ქულებს ჩუქნიან.

სწორედ ამის გამო არ უწონებენ კალათბურთში მესამედ მოსვლის გადაწყვეტილებას. 2001 წლამდე, სანამ ჯორდანი „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მაისურას მოირგებდა, ის უძლეველი ადამიანი იყო, ახლა კი პოეზია და ბალეტი ლეგენდაში დარჩა და ხალხმა დამძიმებული და დამარცხებული მაიკლ ჯორდანი იხილა.

„მე არ ვარ იმედგაცრუებული. ფულის გულისთვის არასდროს მითამაშია და არც ახლა, ამ ბოლო ორ წელს (ამ ორ წელში ჯორდანი სიმბოლურად იღებდა ვეტერანის ხელფასს — 1,1 მილიონ დოლარს). კალათბურთთან ყოველთვის პირნათელი ვიყავი და კალათბურთიც პირნათელია ჩემთან“ — თქვა ჯორდანმა მას შემდეგ, რაც შემოჯარული გულშემატკივრებისგან ოდნავ განთავისუფლდა. ის ვერ გაექცა ჟურნალისტთა კითხვას, აპირებს თუ არა კიდევ ერთხელ დაბრუნებას. „არა, ეს ჩემი საბოლოო წასვლაა“ — თქვა ჯორდანმა. ოღონდ ჩვენ მაინც ნუ დავუჯერებთ, ვინ იცის, იქნებ 45 წლისას კიდევ მოეხასიათოს თამაში.

ახლა კი 40 წლის ჯორდანი ნბა-ში 15 არასრული სეზონის ჩატარების შემდეგ 32 292 ქულით მიდის პენსიაზე. ამ მხრივ ის მესამეა ქარიმ აბდულჯაბარის და კარლ მელოუნის შემდეგ. სამაგიეროდ, მაიკლს კარიერის ათასზე მეტ მატჩში საშუალოდ 30,12 ქულა მოუგროვებია, რაშიც მას ვერავინ ჯობნის. მის მომყოლ უილტ ჩემბერლენის საშუალო მაჩვენებელი 30,07 ქულაა.

რაც შეეხება უკანასკნელ სეზონს, აქ მაიკლმა თავისი გუნდის უკლებლივ 82-ვე მატჩში მიიღო მონაწილეობა და „ვიზარდსს“ საშუალოდ ზუსტად 20,0 ქულა მოუნაგრა, რის მიხედვითაც ის 25-ეა სეზონის მექულეებში.

ბარემ აქვე აღვნიშნოთ — იმ თამაშში ნბა-მ თავისი ოჯახის კიდევ ერთი ღვაწლმოსილი წევრი, 64 წლის მსაჯი ტომი ნუნიესი გააცილა, ვინც ზუსტად 30 წელი სჯიდა ნბა-ს მატჩებს. ნუნიეს იმ თამაშში შეცდომა არ დაუშვია.

16 აპრილი რეგულარული სეზონის ბოლო დღე იყო ნბა-ში და სანამ ფილადელფიაში კალათბურთის ღმერთს აცილებდნენ, ქვეყნის კიდევ 12 დარბაზში მოკვდავი მოთამაშეები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მატჩები, რომლებშიც მეპლეიოფე გუნდები უკეთესი ადგილისთვის იბრძოდნენ.

„მინესოტა ტიმბერვულვზმა“ შინ „მემფის გრიზლიზს“ მოუგო და 14-წლიან არსებობაში პირველად ჩაეწერა დასავლეთ კონფერენციის რჩეულ ოთხეულში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფის პირველ წრეში „მგლებს“ მოედნის უპირატესობა ექნებათ. ამ საწყლებმა იქნებ ახლა მაინც გაიარონ ეს დათარსული პირველი რაუნდი, რომელსაც ზედიზედ ექვსი წელი ვერ გასცდნენ.

თუმცა კი „მინესოტას“ სულაც არ შეხვდა იოლი მეტოქე. ასეთები დასავლეთში საერთოდ არ არიან, მაგრამ პირველივე წრეში ჩემპიონ „ლეიკერსთან“ შეჯახებამ ნაღდად არ გაახარა კევინ გარნეტი და მისი დამხმარე პერსონალი. „მინესოტას“ წესით „პორტლენდი“ უნდა რგებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყველაფერი აურია, უსუსურ „კლიპერსთან“ წააგო და მეტოქედ „მშიერი“ „დალასი“ გამოიწერა.

„მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ, მე პლეი ოფში „ლეიკერს“ — „დალასის“ ყურება მინდოდა. „დალასის“ მეპატრონე მარკ კუბანმა ფული უნდა გვიფეშქაშოს, მის გუნდს „ლეიკერსი“ რომ ავარიდეთ“ — ამბობს კლიპერსელი ერიკ პიატკოვსკი.

„დალასის“ მილიარდერი მფლობელი, ექსცენტრიკული მარკ კუბანი მართლაც აპირებს ფულის გაღებას, ოღონდ კლიპერსელებს ცენტსაც არ უბოძებს. კუბანს ამას წინათ ჯიბიდან 1 000 000 დოლარი ამოუღია, ერაყის ომში დაღუპულთა ოჯახებს უნდა დავეხმაროო. დაღუპული კი, პენტაგონის ოფიციალური ცნობით, 125 ამერიკელი ჯარისკაცია.

„დალასმა“ კი რეგულარული ჩემპიონატის ლიდერობის დაკარგვის შემდეგ გული იმით მოიოხა, რომ ახალ ლიდერს, „სან ანტონიოს“ სძლია.

**ძოტე ყორშია**

### 16 აპრილი

**დენვერი 84:89 ჰიუსტონი**
დენვერი: ჰარინგტონი (8), უილიამსი (15), ჰოვარდი (10), ვაიტი, კემბი (2); ცქიტიშვილი (29 წუთი, 6 ქულა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება), იარბრო (8), ჰარინგტონი (9), ილარიო (6), ანდერსენი (11), ტრეპანჯერი (7), ჰარვი (2)
ჰიუსტონი: მობლი (16), ფრენსისი (17), გრიფინი (5), პოუზი (17), მინგი (13); რაისი (14), მორისი (2), ნორისი (4), კატო (1)

**მემფისი 87:95 მინესოტა**
მემფისი: სვიფტი (18), გასოლი (18)
მინესოტა: გარნეტი (13), შჩერბიაკი (17)

**ფილადელფია 107:87 ვაშინგტონი**
ფილადელფია: აივერსონი (35), მაკკი (15)
ვაშინგტონი: ბრაუნი (17), ჯორდანი (15)

**სან ანტონიო 72:93 დალასი**
სან ანტონიო: სმიტი (11), პარკერი (10)
დალასი: ნოვიცკი (25), ბრედლი (15)

**კლიპერსი 107:93 პორტლენდი**
კლიპერსი: ოდომი (24 ქულა, 13 მოხსნა), ბრენდი (18)
პორტლენდი: ველსი (19)

**ინდიანა 90:83 ნიუ ჯერსი**
ინდიანა: ონილი (26), ჰარინგტონი (17)
ნიუ ჯერსი: ჯონსონი (16)

**კლივლენდი 96:86 ტორონტო**
კლივლენდი: პარკერი (17), მაილზი (15)
ტორონტო: ალსტონი (23), ჯ. უილიამსი (13)

**სიეტლი 84:70 ფინიქსი**
სიეტლი: ალენი (19)
ფინიქსი: ჯონსონი (21), სტუდემაიერი (16)

**საკრამენტო 95:84 იუტა**
საკრამენტო: ვებერი (15), ბიბი (14)
იუტა: კირილენკო (15), ჰარპრინგი (15)

**ნიუ ორლეანი 92:77 ატლანტა**
ნიუ ორლეანი: დევისი (21), მაშბერნი (15)
ატლანტა: გლოვერი (15), ტერი (13)

**მილუოკი 93:87 ორლანდო**
მილუოკი: ტომასი (21), მეისონი (19)
ორლანდო: არმსტრონგი (15)

**გოლდენ სტეიტი 111:117 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: დანლივი (21)
ლეიკერსი: ბრაიანტი (44), ონილი (27 ქულა, 12 მოხსნა)

**ბოსტონი 99:92 დეტროიტი**
ბოსტონი: დელკი (17), პირსი (12)
დეტროიტი: მენინგი (18)

### საბოლოო ცხრილი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 50 | 32 | 61,0 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 33 | 59,8 |
| ინდიანა | 48 | 34 | 58,5 |
| ფილადელფია | 48 | 34 | 58,5 |
| ნიუ ორლეანი | 47 | 35 | 57,3 |
| ბოსტონი | 44 | 38 | 53,7 |
| მილუოკი | 42 | 40 | 51,2 |
| ორლანდო | 42 | 40 | 51,2 |
| ვაშინგტონი | 37 | 45 | 45,1 |
| ნიუ იორკი | 37 | 45 | 45,1 |
| ატლანტა | 35 | 47 | 42,7 |
| ჩიკაგო | 30 | 52 | 36,6 |
| მაიამი | 25 | 57 | 30,5 |
| ტორონტო | 24 | 58 | 29,3 |
| კლივლენდი | 17 | 65 | 20,7 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 60 | 22 | 73,2 |
| საკრამენტო | 59 | 23 | 72,2 |
| დალასი | 60 | 22 | 73,2 |
| მინესოტა | 51 | 31 | 62,2 |
| ლეიკერსი | 50 | 32 | 61,0 |
| პორტლენდი | 50 | 32 | 61,0 |
| იუტა | 47 | 35 | 57,3 |
| ფინიქსი | 44 | 38 | 53,7 |
| ჰიუსტონი | 43 | 39 | 52,4 |
| სიეტლი | 40 | 42 | 48,8 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 44 | 47,3 |
| მემფისი | 28 | 54 | 34,1 |
| კლიპერსი | 27 | 55 | 32,9 |
| დენვერი | 17 | 65 | 20,7 |

### პლეი ოფის პირველ წრეში გუნდები ასე დაწყვილდნენ

**აღმოსავლეთი**

დეტროიტი (1) – ორლანდო (8)
ნიუ ჯერსი (2) – მილუოკი (7)
ინდიანა (3) – ბოსტონი (6)
ფილადელფია (4) – ნიუ ორლეანი (5)

**დასავლეთი**

სან ანტონიო (1) – ფინიქსი (8)
საკრამენტო (2) – იუტა (7)
დალასი (3) – პორტლენდი (6)
მინესოტა (4) – ლეიკერსი (5)

## ლიგის ლიდერები

| მექულეები | |
|---|---|
| ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო) | 32,1 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 30,0 |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 27,6 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 27,5 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 25,9 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 25,1 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23,3 |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 23,0 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 23,0 |
| რეი ალენი (სიეტლი) | 22,5 |
| ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი) | 22,5 |
| სტივ მარბერი (ფინიქსი) | 22,3 |
| ანტუან ჯემისონი (გ. სტეიტი) | 22,2 |
| ჯალენ როუზი (ჩიკაგო) | 22,2 |
| ჯამალ მაშბურნი (ნიუ ორლეანი) | 21,6 |
| ჯერი სტექჰაუზი (ვაშინგტონი) | 21,5 |
| შონ მარიონი (ფინიქსი) | 21,2 |
| სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი) | 21,0 |
| გლენ რობინსონი (ატლანტა) | 20,8 |
| ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 20,8 |

| მომხსნელები | |
|---|---|
| ბენ უოლესი (დეტროიტი) | 15,1 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 13,1 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 12,1 |
| ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | 12,1 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 11,0 |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 10,1 |
| ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 10,0 |
| ბრაიან გრანტი (მაიამი) | 10,0 |
| ტროი მერფი (გოლდენ სტეიტი) | 10,0 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 9,0 |

| მეპასეები | |
|---|---|
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 8,9 |
| ჯეისონ უილიამსი (მემფისი) | 8,3 |
| გერი პეიტონი (მილუოკი) | 8,3 |
| სტივ მარბერი (ფინიქსი) | 8,1 |
| ჯონ სტოქტონი (იუტა) | 7,7 |
| ჯამაალ ტინსლი (ინდიანა) | 7,5 |
| ჯეისონ ტერი (ატლანტა) | 7,4 |
| სტივ ნეში (დალასი) | 7,3 |
| ანდრე მილერი (კლიპერსი) | 6,7 |
| ერიკ სნოუ (ფილადელფია) | 6,6 |

| ჩამჭრელები | |
|---|---|
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 2,7 |
| რონ არტესტი (ინდიანა) | 2,3 |
| შონ მარიონი (ფინიქსი) | 2,3 |
| დუგ კრისტი (საკრამენტო) | 2,3 |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 2,2 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2,2 |
| კერონ ბატლერი (მაიამი) | 1,8 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 1,8 |
| სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი) | 1,7 |
| გერი პეიტონი (მილუოკი) | 1,7 |

| დამფარებლები | |
|---|---|
| თეო რატლიფი (ატლანტა) | 3,2 |
| ბენ უოლესი (დეტროიტი) | 3,2 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 2,9 |
| ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | 2,6 |
| ადონალ ფოლი (გოლდენ სტეიტი) | 2,5 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 2,4 |
| ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 2,3 |
| ანდრეი კირილენკო (იუტა) | 2,2 |
| შონ ბრედლი (დალასი) | 2,1 |

## სეზონის სნაიპერები

| საჯარიმოები | |
|---|---|
| ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი) | 91,9 |
| რეი ალენი (სიეტლი) | 91,6 |
| სტივ ნეში (დალასი) | 90,9 |
| ტროი ჰადსონი (მინესოტა) | 90,0 |
| რეჯი მილერი (ინდიანა) | 90,0 |
| ჯეისონ ტერი (ატლანტა) | 88,7 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 88,1 |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 87,8 |
| ჯერი სტექჰაუსი (ვაშინგტონი) | 87,8 |
| დარელ არმსტრონგი (ორლანდო) | 87,8 |

| თამაშიდან სროლები | |
|---|---|
| ედი კარი (ჩიკაგო) | 58,5 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 57,4 |
| კარლოს ბუზერი (კლივლენდი) | 53,6 |
| ფი ჯეი ბრაუნი (ნიუ ორლეანი) | 53,1 |
| რაშო ნესტეროვიჩი (მინესოტა) | 52,5 |
| ნენე ილარიო (დენვერი) | 51,9 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონი) | 51,3 |
| მეტ ჰარპრინგი (იუტა) | 51,1 |
| პაუგასოლი (მემფისი) | 51,0 |
| ბრაიან გრანტი (მაიამი) | 50,9 |

| სამქულიანები | |
|---|---|
| ბრუს ბოუენი (სან ანტონიო) | 44,1 |
| მაიკლ რედი (მილუოლი) | 43,8 |
| უესლი პერსონი (ნიუ ორლეანი) | 42,4 |
| დევიდ უესლი (ნიუ ორლეანი) | 42,4 |
| სტივ ნეში (დალასი) | 41,3 |
| ენტონი პილერი (მინესოტა) | 41,0 |
| ედი ჯონსი (მაიამი) | 40,7 |
| ჯონ ბერი (დეტროიტი) | 40,7 |
| ბრენტ ბერი (სიეტლი) | 40,3 |
| დერეკ ფიშერი (ლეიკერსი) | 40,1 |

*მაიამელ ვლადიმერ სტეფანიას კვალად გუშინწინ დენვერელმა ნიკა ცქიტიშვილმაც გაასრულა სეზონი. თუ ვოვასთვის ეს მე-5 ოკეანგაღმური სეზონი გახლდათ, „ცქიტოსთვის“ სადებიუტოა. დენვერელთა ვარაუდი, რომ ნიჭ-მონაცემებმომადლებული ცქიტიშვილი ნბა-ში იმთავითვე ვარსკვლავებს მოწყვეტდა, არ გამართლდა. ნიკასთვის ეს იყო ნაღდ კალათბურთთან ზიარების, ვარსკვლავების გაცნობის, იმედისა და, როგორც თავად ამბობს, გართობის სეზონი. გართობა კი მართლაც აუცილებელია „საბავშვო ბაღ“ „დენვერისთვის“, იქ ხომ ძირითადად პირტიტველა ბიჭები თამაშობენ და კლუბის ხელმძღვანელობაც ყმაწვილთა გასამხიარულებლად ნაირგვარ ოინბაზობას იგონებს... ეს ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან სეზონის უკანასკნელ, „ჰიუსტონთან“ მატჩის დასრულებიდან ორიოდ საათში შედგა. „სკიტა“ თანაგუნდელ პრედრაგ სავოვიჩთან და ორ მეგობარ გოგონასთან ერთად ერთ-ერთ დენვერულ რესტორანში ვახშმობდა, თან სეზონის დასრულებასაც აღნიშნავდა.*

# ცქიტიშვილი ფულზე თამაშობს



## ნიკოლოზ ცქიტიშვილი

**დენვერ ნაგიტსი**

დაიბადა საქართველოში, თბილისში 1983 წლის 14 აპრილს

**სიმაღლე** 213 სანტიმეტრი; **წონა** 102 კილოგრამი

2002 წლის დრაფტში 5-ე ნომრად აირჩია „დენვერ ნაგიტსმა“ და სამ თვეში გაუფორმა სამწლიანი კონტრაქტი

**პირველი სეზონის შედეგები**

„დენვერის“ 82 თამაშიდან იმონაწილევა 81-ში, აქედან 15-ში სასტარტო ხუთეულში. თამაშობდა საშუალოდ მატჩში 16,3 წუთს, აკეთებდა 3,9 ქულას (10-ე შედეგი გუნდში), 2,2 მოხსნას და 1,1 პასს

ყველაზე მეტი, 17 ქულა ჩაუგდო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ 12 თებერვალს

— მორჩა, გათავდა, „ჰიუსტონთან“ მატჩი ბოლო იყო ამ სეზონში, ახლა ცოტა ხნით მაინც დავისვენებ. ისე არ გამიგო, თითქოს თამაში არ მინდოდეს, უბრალოდ, საშინელ რეჟიმში ვიყავი, გადაბმული ვარჯიშები, აქეთ-იქით ფრენა და კიდევ ათასგვარი დატვირთვები, მცირე ხნით გართობა არ მაწყენდა.

**— როგორც აქამდე გითქვამს, გართობას არც სეზონის განმავლობაში გაკლებდნენ „დენვერის“ თავკაცები...**

— კი, მაგრამ ეს პერიოდულად ხდებოდა, თანაც უმეტესი გასართობი ვარჯიშისთვის იყო მოგონილი, ასე ვთქვათ, მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგალითად, დენვერელები ხშირად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს სამქულიანებში. იტყვი, ეგ რა, ვარჯიში არ არისო, მაგრამ ამ მინი-ტურნირებით საკმაოდ სოლიდური თანხის მოგება შეიძლებოდა. ძირითადად მე და სავოვიჩი ვიმარჯვებდით, იშვიათად თუ ჯულ ჰოვარდი გვაჯობებდა.

**— კარგი, მაგრამ თამაშებზე რაღაც გიჭირდა სამქულიანების ჩაგდება...**

— იყო მატჩები, სროლები რომ მიმდიოდა, თუმც ხშირად ხელი მომცარვია. სხვაა, როცა მშვიდად, ვარჯიშზე ისვრი სამქულიანებს და სულ სხვა, როცა ამაში ხელს ჯორდანი, ანაც გარნეტი გიშლის. ჯერ არ ვარ იმ დონის მოთამაშე, რომ ამხელა ფსიქოლოგიურ ზეწოლას გავუძლო და თვალდახუჭულმა ვყარო ბურთები.

**— სეზონის უკანასკნელ მატჩზე რას იტყვი, ჰიუსტონელ იაო მინგთან არ მოგიწია პაექრობამ?**

— „ჰიუსტონთან“ საკმაოდ ბევრი ვითამაშე, ცხადია, მინგსაც რამდენჯერმე გადავეყარე მოედანზე. ისეთი არაფერი, ჩვეულებრივი შეხვედრა იყო. ჰიუსტონელებს, ჩვენგან განსხვავებით, ერთი ნაბიჯი დააკლდათ პლეი ოფამდე და გულგატეხილები იყვნენ. მოგებაც შეგვეძლო, თანაბარი მატჩი იყო, მაგრამ ბოლოს „ჰიუსტონს“ გაუმართლა. გამორჩეული არაფერი გამიკეთებია, 6 ქულა მოვაგროვე, ყველაზე ძალიან კი იმან გამახარა, რომ ჰიუსტონელ გლენ რაისს შეტევაში ჯარიმა ავკიდე.

**— კარგი, მაგრამ ამაში რა არის აგრერიგად სასიხარულო?**

— ვითომ არაფერი, მაგრამ ასე რომ გავიხარე, ისევ და ისევ ჩვენი მწვრთნელის, ჯეფ ბზდელიკის გამოგონილი ერთგვარი გასართობის ბრალია. ბზდელიკმა ფულადი ჯილდო დააწესა ყველა იმ დენვერელზე, რომელიც შემტევ მეტოქეს ჯარიმას აჰკიდებდა. ეს ამ მატჩამდე მხოლოდ მე ვერ მომეხერხებინა და ბზდელიკიც მემუქრებოდა, თუ ვინმეს ჯარიმას არ აჰკიდებ, თავად დაჯარიმდები, ათ კილომეტრს შეუსვენებლად გარბენინებო. მატჩის ბოლოსკენ გლენ რაისი ჩემკენ წამოვიდა, ვიფიქრე, ბოლო შანსი მაქვს-მეთქი და... ათი კილომეტრის რბენასაც გადავრჩი, თანაც ფულიც მოვიგე.



ნიკა ცქიტიშვილი ვარსკვლავებთან თამაშს სწავლობს

**— ჩვენი ბოლო საუბრისას მაიამიში იყავი. „ჰიტთან“ მატჩამდე იქ დენვერელებმა გოლფის ტურნირი მოაწყვეთ და, როგორც შევიტყვე, იქაც მოგიგია ფული.**

— მაიამიდან მართლაც კარგ ხასიათზე დავბრუნდი. გოლფის ბაიბურში არ ვიყავი, მხოლოდ რამდენიმე დღე ვივარჯიშე და ამ საქმეში გამოცდილ ხალხს ვაჯობე. თანაც „მაიამიც“ დავამარცხეთ, სტეფანიამ ჩემსავით 4 ქულა გააკეთა იმ მატჩში. ვოვა მოედნის გარეთ აღარ მინახავს.

**— მას მერე არაერთი კარგი მატჩი ჩაატარე, რომლებს გამოარჩევ?**

— რა ვიცი, თუ მოგროვილი ქულებით განვსაზღვრავ, „მილუოკისთან“ მატჩს გამოვყოფდი, არც „ლეიკერსთან“ ერთი კვირის წინ ნათამაშები იყო ცუდი, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც „ვაშინგტონთან“ ჩატარებულ შეხვედრას გამოვარჩევ. ბევრი ქულა არ გამიკეთებია, მხოლოდ 3 დამიგროვდა, მაგრამ დაცვაში ვითამაშე კარგად. ბზდელიკმა ჯორდანის მეურვეობა დამავალა და მეც მხოლოდ მის გაჩერებაზე ვფიქრობდი, ბურთის სროლა არც მიფიქრია. პირველ ტაიმში ჯორდანმა აშკარად დამჩაგრა, ის „ვაშინგტონის“ ბომბარდირი იყო და თავისი გუნდი შესვენებამდე 15 ქულით დააწინაურა. ბზდელიკმა გასახდელში ნამუსზე ამაგდო, თუ ჯორდანს ამოკეტავ, შენს კარგ კალათბურთელობასაც იმით დამიმტკიცებო. არ ვიცი, როგორ გამიგებ და საერთოდ თუ შეიძლება ამის თქმა, მაგრამ მეორე ტაიმში ჯორდანი შევაჩერე. მაიკლმა დარჩენილ დროში იმის ნახევრის ნახევარიც ვერ გააკეთა, რაც პირველ ტაიმში, ერთხელ დავუფარე კიდეც. ჯორდანის შეჩერება იყო და „დენვერმა“ თამაში გამოაკეთა. გეცოდინება, ის მატჩი მოვიგეთ.

**— კარგი იქნებოდა, რომ სულ ეგრე გეთამაშა, მაგრამ... მაინც როგორ შეაფასებ შენს პირველ სეზონს, როგორი იყო ის შენთვის?**

— თავიდანვე ვიცოდი, რომ ნბა-ში თამაში იოლი არ იქნებოდა. იყო მატჩები, როცა კარგად ვითამაშე დაცვაში და ცუდად შეტევაში. პირიქითაც ხდებოდა. აი, ორივე ნახევარზე რომ გამომეჩინა თავი, იშვიათად ყოფილა. საერთო ჯამში ეს არ იყო კარგი სეზონი, მაგრამ ამ თამაშებმა სტიმული მომცა, მომავლის იმედი ჩამისახა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნბა-ში პერსპექტივა მაქვს და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ეს იყო ჩემთვის ნაღდი კალათბურთის, დიდი მოთამაშეების გაცნობის სეზონი. კარგი სკოლა გავიარე და გარკვეული გამოცდილებაც შევიძინე. მომავალს იმედით შევყურებ.

**— „დენვერი“ ალბათ ზაფხულშიც არ მოგაკლებს ყურადღებას, რამე გრაფიკი ხომ არ დაგიწესა?**

— მხოლოდ ორი კვირით მათავისუფლებს, მერე კი ისევ ვარჯიშები, კემპები და საზაფხულო ლიგები...

**— საქართველოს ნაკრებიც ზაფხულში შეიკრიბება. ახალდანიშნული მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ყველა ლეგიონერის გაცნობას აპირებს, შენც ჩამოხვალ ალბათ...**

— ეგ ჩემი გადასაწყვეტი არ არის, „დენვერის“ ხელმძღვანელობასთან შესათანხმებელი საკითხია. ჩემს ახლანდელ გეგმებში საქართველოში ჩამოსვლა, დიდი სურვილის მიუხედავად, არ შედის. როგორც კლუბის უფროსობა მეუბნება, დენვერში უნდა ვიყო, ვივარჯიშო და ფიზიკურად მოვმძლავრდე. თუ აქედან გამიშვებენ, მხოლოდ იტალიაში. იქ ქალაქ ტრევიზოში საზაფხულო კემპი იმართება. იქაც „დენვერის“ პრეზიდენტი კიკი ვანდერვეიჯი მომყვება. მე შემიძლია დაუკითხავად წამოვიდე საქართველოში, მაგრამ რამე რომ შემემთხვეს, კლუბიდან გამაგდებენ. ეს აქ პირდაპირ მითხრეს.

**— არსებობს შესაბამისი პროცედურა, რომელიც ნბა-ში მოთამაშის თავისი ქვეყნის ნაკრებში წასვლას არეგულირებს. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და „დენვერის“ ხელმძღვანელობა რომ შეთანხმდნენ, წამოხვალ ნაკრებში?**

— რა თქმა უნდა. თუ დენვერელები მეტყვიან, შეგიძლია, საქართველოს ნაკრებს შეუერთდეო, რა პრობლემაა, პირიქით, ძალიანაც გამიხარდება. არ ვიცი, შეთანხმებას როგორ აღწევენ, თუ არ ვცდები, სადაზღვევო თანხაზე უნდა შეთანხმდნენ კლუბისა და იმ ქვეყნის ფედერაციის მესვეურები, რომელ ნაკრებშიც აპირებს კალათბურთელი წასვლას. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობენ დენვერელები, ვერ გეტყვი.

**— ჩვენი ფედერაცია ალბათ მალე შეეხმიანება „დენვერის“ უფროსობას...**

— ძალიანაც კარგი, ერთხელაც გავიმეორებ, ჩემი მხრიდან არავითარი პრობლემა არ იქნება.

**— ბოლოს იმას გკითხავ, თუ სად აპირებ იმ ორი კვირის გატარებას, „დენვერმა“ დღეიდან რომ მოგცა დასასვენებლად?**

— ხვალ მე, დედაჩემი, ჩემი ძმა გიორგი და თანაგუნდელი პრედრაგ სავოვიჩი ჰავაიზე მივემგზავრებით. „სავო“ იქ სასტუმროების მენეჯერებს იცნობს და ამ გახურებული სეზონის დროს ადგილებიც მან დაგვიჯავშნა. ეს ორი კვირა მაქვს თავისუფალი, მერე ისევ ბურთი და მოედანი მელის.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS მონტევიდეოდან

# კრეოლთა დღეები

აი, გაუჩოთა დღეები. ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ყოველწლიურად აღინიშნება კათოლიკეთა აღდგომის წინა კვირა, რომელსაც ხალხში კრეოლთა კვირეულის იერი აქვს. ამ დროს მონტევიდეოში ჩამოდიან არგენტინელი და ბრაზილიელი გაუჩოები (კოვბოები) და მასპინძლებთან ერთად გაუხედნავი ცხენების მორჯულებას ცდილობენ.




REUTERS ტორონტოდან

# გამარჯვების შემდეგ

გუშინწინ ოგასტას დიდი საგოლფო ტურნირის მომგები და მწვანე ჟაკეტის პირველად მომრგები კანადელი მაიკლ ვეირი ახლა ტორონტოშია და ავტოგრაფებს არიგებს თავისი პრესკონფერენციის შემდეგ — ექვსი წლის რიო სიუელი გახარებულია, ისევე როგორც ჩემპიონი.

# კარგი ბიჩი

ავსტრალიაში, ბელს ბიჩზე გახურებულა რიპ კარლის მოსერფეთა ტურნირი, რომელიც წლევანდელი მსოფლიო ტურის რიგით მეორე შეჯიბრია. რიპ კარლ პროში 45 მოსერფე მონაწილეობს, საპრიზო ფონდი კი 250 000 დოლარია. ტალღებს შებმული კაცი კი ბრაზილიელი ნეკუ პადარაცი გახლავთ.



REUTERS ბელს ბიჩიდან

# შადგილო ადგილას

ბეისბოლი მაინც ხიფათა ამბავია ხოლმე: ფილადელფიელი პლასიდო პოლინკოს კეტი თუ ბურთი ძალიან უადგილო ადგილას მოხვედრია. დამზიანებელიც დადგენილია, ფლორიდა მარლინის სტარტერი ჯეფ ბეკეტი. დაზიანებულ პლასიდოს მისი მწვრთნელი გარი ვერში თითქოს ღიმილითაც კი შესცქერის.




REUTERS ფილადელფიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ხოლოხინ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჟაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან ლარსაველიძე, სვეტა დევაძე ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფიფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge